შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №7, სექტემბერი, 2011.

ინტერვიუ რექტორთან

„დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე“

მიმდინარე სასწავლო წელს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეულ სპეციალობებზე თითქმის ორმაგი რაოდენობის პირველკურსელი ჩაირიცხა. სიახლეა ისიც, რომ მათთვის ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო ხდება. განსაკუთრებული ყურადღება სტუდენტთა სალექციო პროცესში ყოველდღიურ ჩართულობას მიექცევა.

გაზეთის შეკითხვებს პასუხობს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე

– რა სიახლეებით ხვდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს?

– 2011-2012 სასწავლო წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვდება დიდი იმედებით, მოლოდინითა და სიახლეებით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. ახლა ვართ აკრედიტაციის მოლოდინში. როგორც გასულ, ასევე მიმდინარე სასწავლო წელს დიდი ყურადღება დაეთმობა სწავლების ხარისხს და საერთოდ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის სრულყოფას. უნივერსიტეტში ცალკე აღარ იქნება მონიტორინგის ჯგუფი, მან თავისი დანიშნულება შეასრულა და მის ფუნქციებს შეითავსებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შეიცვალა რეიტინგული შეფასებების ქულები – ნაცვლად 30, მიმდინარე სასწავლო წლიდან იქნება 20, ამასთან გაიზარდა ყოველდღიური აქტივობების ქულები, ნაცვლად 30, იქნება 40. სექტემბერ-ოქტომბერში ჩვენს უნივერსიტეტში დაინერგება კომბინირებული გამოცდების სისტემა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. დამუშავდება ღია და დახურული ტიპის ტესტები და სტუდენტები რეიტინგულ, ძირითად და დამატებით გამოცდებს ჩააბარებენ კომპიუტერებთან, გამორიცხული იქნება კითხვებისა და ტესტების განმეორებადობა.

სწავლების ხარისხის გაზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები. ამ მიმართებით მიმდინარე სასწავლო წელს დასრულდება თანამედროვე სახელმძღვანელოების შემოტანა, სრულად შეიცვლება სასწავლო ინვენტარი და მაქსიმალურად შეძენილი იქნება სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი რეაქტივები, მასალები და აპარატურა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ აჭარის მთავრობის დაფინანსებით ჩაუტარდება რემონტი სამეცნიერო ცენტრსა და ქიმიის დეპარტამენტს.

– მიმდინარე წლის ზაფხულში, უნივერსიტეტში მუშაობა არ შეჩერებულა. გაფორმდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მემორანდუმი, ჩატარდა ტრენინგები, ფუნქციონირებდა საზაფხულო სკოლა და ა. შ. როგორ შეაფასებდით 2011 წლის ზაფხულის საუნივერსიტეტო ცხოვრებას?

– მიმდინარე წლის ზაფხულში ფაქტიურად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ძირითადი ნაწილი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მოვამზადეთ საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, გვქონდა ძალიან საინტერესო და აქტიური ზაფხული. ჩვენს უნივერსიტეტში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ტრენინგები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის აკრედიტაციის სტანდარტებთან დაკავშირებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, აშშ კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ განათლების მართვის პროექტის (USAID) და ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურის მონაწილეობით ჩატარდა ძალიან საინტერესო და იმავდროულად ფართო სპექტრის მომცველი „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლა“. უნდა აღინიშნოს აგრეთვე სხვა ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც ზაფხულში ჩატარდა ჩვენს უნივერსიტეტში. კერძოდ, საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფო ენის

სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები“, ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლა, საერთაშორისო სამედიცინო სამიტი, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია – „საქართველოში აგრარული პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“ და ა.შ.

ზაფხული ასევე საინტერესო იყო ახალი კავშირებისა და ურთიერთობების დამყარების მხრივაც: გაფორმდა მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან განათლების ადმინისტრირების ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმთან, აჭარის ა რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოსთან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალთან, აკ. წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკასთან, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმთან, ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან, კონსტიტუციონალიზმის, კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრთან, სასწავლო და დასაქმების პროგრამების საერთაშორისო ასოციაციასთან, მშვიდობის კორპუსთან და ა.შ.

– ახალი სასწავლო წლისათვის პროფესორ-მასწავლებლები სიახლეების წინაშე ხომ არ დადგებიან?

– ახალი სასწავლო წლისათვის საათობრივი ანაზღაურების წესით კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში მოწვეული იქნებიან ახალგაზრდა სპეციალისტები. პროფესიონალიზმთან და გამოცდილებასთან ერთად ყურადღება მიექცევა უცხოური ენის ცოდნას.

– რა იქნება ახალ სასწავლო წელს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში პრიორიტეტული?

– ახალ სასწავლო წელს პრიორიტეტული იქნება სწავლების ხარისხი. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას მოამზადოს ეროვნული კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტები, ამიტომაც ყურადღების ცენტრში იქნება სასწავლო პროცესი და მისი ხარისხი. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეცნიერო საქმიანობის განმსაზღვრელი იქნება არა სტატიების, მონოგრაფიების და ა.შ. რაოდენობა, არამედ ხარისხი.

– სტუდენტთა მოზიდვის თვალსაზრისით, 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად წინა წლებისგან განსხვავებით არის თუ არა პროგრესი იგივე აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ან საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტებთან მიმარ-

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურ ცენტრთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელმა ავთანდილ დემეტრაშვილმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

ხელშეკრულება ითვალისწინებს იურიდიული კვლევების პოპულარიზაციას, სტუდენტებისა და იურისტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას. დოკუმენტი ხელს შეუწყობს ურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში იურიდიული კლინიკის ჩამოყალიბებასა და ამოქმედებას. მხარეები ასევე სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ურთიერთგაცვლაზე, ერთობლივი კონფერენციების, სემინარებისა და ვორქშოფების ჩატარებასა და ბიბლიოთეკის გამოყენებაზე შეთანხმდნენ.

გონიო-აფსაროსის ციხეში არქეოლოგიური გათხრები განახლდა

გონიო–აფსაროსის მუზეუმ–ნაკრძალის ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიზნობრივად, მუზეუმ–ნაკრძალში ჩასატარებელი არქეოლოგიური სამუშაოებისათვის 30 000 ლარი გამოუყო. პროექტი ითვალისწინებს საველე, კამერალურ და საგამომცემლო სამუშაოებს. მასში ჩართულია რსუ–ს პროფესორ–მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები და ისტორიის სპეციალობის

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. პროექტის მიზანი სტუდენტებისათვის სასწავლო პროგრამით მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკით განმტკიცება, ახალაღმოჩენილი მასალების საფუძველზე კვლევითი ხასიათის ნაშრომების შექმნა, სამეცნიერი კონფერენციებზე წარდგენა და სტუდენტ-არქეოლოგთა შრომების კრებულის გამოცემაა. გონიო აფსაროსის ციხეში განახლებული გათხრები აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ მოინახულეს. გათხრების შედეგად მოპოვებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთები დაათვალიერეს და სტუდენტებს წარმატებები უსურვეს. გონიო–აფსაროსში სამუშაოები წარმოებს ციხის სამხრეთ–დასავლეთ კუთხეში, სადაც მოსალოდნელია სამეთუნეო ქურა–სახელოსნოს აღმოჩენა, სამხრეთ კედელთან, სადაც შეისწავლება რომაული პერიოდის წყალგაყვანილობის სისტემა, რეზერვუარები, კედლის და კულტურული ფენების სტატიგრაფია, ასევე ციხის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა დიდი ზომის ნაგებობათა ნაშთები, რომელიც მოპოვებული მასალის მიხედვით ახ.წ. II საუკუნით თარიღდება. ამჟამად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის (კლასიკური, გვიანანტიკური, ბიზანტიური და გვიანშუასაუკუნეების) სხვადასხვა დანიშნულების ლითონის, კერამიკისა და მინის სხვა სახის ნაკეთობები.

გონიო–აფსაროსში არქეოლოგიური გათხრები 10 სექტემბერს დასრულდება.

პროექტის: „ინტერდისციპლინარული კვლევები ენის კორპუსის გამოყენებით„ პრეზენტაცია

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროექტის: „ინტერდისციპლინარული კვლევები ენის კორპუსის გამოყენებით„ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი მიზნად ისახავს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის ლინგვოკულტურული და ინტერდისციპლინარული კვლევების მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას, ქართველ და უხოელ მეცნიერთა თანამშრომლობასა და ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას. პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა, რომელიც ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის, აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან შედგება ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის კორპუსის შექმნაზე იმსჯელეს. დაიგეგმა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ და უცხო ენებზე თარგმნილი კორპუსის დიგიტალიზაცია და ორიგინალისა და თარგმანების პარალელური ტექსტის სამეცნიერო დამუშავება - საძიებო სისტემით აღჭურვა პარალელური ბმულების გამოყენებით.

უნივერსიტეტსა და მშვიდობის კორპუსს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მშვიდობის კორპუსს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები ხელს შეუწყობენ ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებასა და თანამშრომლობის განხორციელებას განათლებისა და მეცნიერების სფეროში. მემორანდუმის თანახმად მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მშვიდობის კორპუსის ამერიკელი მოხალისეები რსუ–ში მასტერკლასებს ჩაატარებენ, ხოლო ტურიზმის მენეჯმენტის სპეციალისტი დევიდ ჰარისონი ლექციებს წაიკითხავს რესტორნის მენეჯმენტისა და ტუროპერირების მიმართულებით. ხელშეკრულების ფარგლებში დაიგეგმა ერთობლივი

სასწავლო და კულტურული პროექტების განხორციელება.

მემორანდუმი სასწავლო და დასაქმების პროგრამების საერთაშორისო ასოციაციასთან

რსუ-ს რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და სასწავლო და დასაქმების პროგრამების საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარემ გოჩა გო-

გუაძემ თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული პროექტების განხორციელებას, სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და მეცნიერებისათვის გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას და დისტანციური სწავლების ხელშეწყობას. მხარეები ასევე უზრუნველყოფენ სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზებას.

საჯარო ლექცია ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის მეთოდებზე

ცნობილმა ანთროპოლოგმა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ემერიტუსმა, პროფესორმა მაიკლ ჰერცფილდმა შოთა რუსთაველის დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა

თემაზე: „ვიზუალური ანთროპოლოგიის კვლევის მეთოდები„. მეცნიერმა ამერიკის, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებს კვლევის თანამედროვე მეთოდები და მიმართულების მიღწევები გააცნო. საჯარო ლექცია საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით პროგრამა "რისეთის" ფარგლებში გაიმართა.

სემინარი ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აქტუალურ საკითხებზე

ალერგიის მსოფლიო კვირეულსა და ასთმის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის სემინარი. დარგის მკვლევრებმა და პრაქტიკოსმა ექიმებმა ერთობლივად განიხილეს იმუნური სისტემის დაბერების საკითხი და ასაკთან დაკავშირებული დაავადებები, ლიმფოტროპული ვირუსული ინფექციების კლინიკური

მიმდინარეობა და ალერგიული რინიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე რეკომენდაციები. მედიკოსებმა ასევე ანტიბიოტიკორეზიტენტობის დაძლევის ალტერნატიულ გზებზე - ფაგოთერაპია და იმუნოთერაპია - იმსჯელეს. საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციამ სემინარის მონაწილეებს სერტიფიკატი გადასცა.

ვულოცავთ!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა აკადემია დაარსებიდან თხუთმეტიოდე წელს ითვლის. იგი თანამედროვე ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილს აერთიანებს. აკადემიის წევრებს (აკადემიკოსებს), ჩვენი ქვეყნის აღიარებულ მეცნიერებს, აღზრდა-განათლების საქმეში განსაკუთრებული დამსახურების მქონე პრაქტიკოს მუშაკებს, მოღვაწეებს ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით მეცნიერებისა და განათლების დარგის განვითარებაში.

აკადემიის რიგები პერიოდულად იზრდება და ფართოვდება გამოჩენილი მეცნიერებითა და ღირსეული ადამიანებით

ამას წინათ, აკადემიის პრეზიდიუმის წარდგინებით, აკადემიის უმაღლესი ორგანოს – საერთო კრებაზე განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ერთხმად აირჩიეს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, დოქტორი აკაკი ზოიძე.

ვულოცავთ აკაკი ზოიძეს დამსახურებულ აღიარებას – აკადემიის აკადემიკოსად არჩევას. ვუსურვებთ ჩვეული მონდომებით, სიყვარულითა და შემართებით გააგრძელოს სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა.

თებაში?

– გასულ სასწავლო წელთან შედარებით ჩვენ წელს თითქმის ორმაგი რაოდენობა მივიღეთ სტუდენტებისა. ასევე, გაორმაგდა მობილობით ჩვენთან გადმომსვლელთა და სწავლის მსურველთა რიცხვი. ამასთან, ველოდებით მეორად ჩარიცხვებსაც. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულმა პრიორიტეტებმა ასახვა ჰპოვა მიმართულებების დაკომპლექტებაში. გასულ სასწავლო წელს აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე მიღება საერთოდ არ გვქონია, წელს პირველადი

ჩარიცხვებით პირველ კურსზე 63 სტუდენტი გვყავს. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა პირველკურსელ სტუდენთთა რიცხვი საბუნებისმეტყველო და საინჟინრო-ტექნოლოგიურ სპეციალობებზე.

– რა სიახლეები ელოდებათ პირველკურსელებს?

– უნივერსიტეტის პირველკურსელები დაიწყებენ სწავლას სრულყოფილ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროფესურითა და საგანმანათლებლო რესურსებით. პირველკურსელებისათვის მიმდინარე სასწავლო წლიდან ინგლისური ენის სწავლება სავალდებულო ხდება. როგორც პირველკურსელებისათვის, ასევე ყველა სტუდენტისათვის სიახლე არის ის, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მათ ყოველდღიურ აქტიურობას. ამასთან, გაზრდილია სასწავლო მასალის მოცულობები, მოთხოვნები და შეცვლილია რეიტინგული შეფასებებისა და გამოცდების ფორმები. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსიტეტში შექმნილია საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშემწყობი პირობები და გარემო. ჩვენ შევეცდებით, რომ კარგად ვასწავლოთ და მათი მოლოდინი გავამართლოთ. სტუდენტებმა კი უნდა ისწავლონ.

– რას უსურვებდით სასწავლო წლის დამდეგს სტუ-

დენტ-ახალგაზრდობას და პროფესორ-მასწავლებლებს?

– ახალი სასწავლო წლის დაწყებას მივულოცავ ჩვენი უნივერსიტეტის პირველკურსელებს, ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს.

დღეს, როდესაც ქვეყანაში აღმშენებლობითი პროცესია, დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე. თქვენი მომზადებისათვის უნივერსიტეტი ყველა შესაძლო რესურსს გამოიყენებს. ერთობლივი ძალისხმევით კი შევძლებთ კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას. გისურვებთ წარმატებებს!

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲡᲝ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ქ.თბილისში, გამომცემლობა „გეორგიკა“-ს მიერ გამოიცა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტის გივი აბაშიძის წიგნი „პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი“, რითაც ავტორმა კიდევ ერთი საინტერესო და კარგ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული წიგნი შემატა როგორც სისხლის საპროცესო სამართლის აქტუალურ საკითხებზე მის მიერ ადრე გამოცემულ სხვა წიგნებს და ათეულობით სამეცნიერო ნაშრომებს, ასევე საერთოდ იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურას

ნაშრომი ეხება სისხლის საპროცესო სამართლის თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, რამაც გამოიწვია ამ საკითხებისადმი ავტორის სამეცნიერო დაინტერესება. მასში განხილული და ჩამოყალიბებულია პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფორმები და მეთოდები, რამდენადაც სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორი გამოძიების სტადიაზე უშუალოდ ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას.

ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, ვინაიდან 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და ახლებურად ჩამოყალიბდა გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა.

ნაშრომში ავტორის მიერ სათანადო ლიტერატურის გამოყენებით, რაც საკმაოდ უხვად და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, დეტალურად არის განხილული და მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული გამოძიების, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი სტადიის არსი და მნიშვნელობა, პროკურორის საქმიანობა, საპროცესო მდგომარეობა და ფუნქციები გამოძიების სტადიაზე, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ცნება, არსი, მისი როლი და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე, პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის ამოცანები და ფუნქციები, მათი განხორციელების ფორმები და მეთოდები, პროკურორის როლი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში.

აღნიშნულზე ავტორს შესწავლილი აქვს ქართული და უცხოური იურიდიული ლიტერატურა, ვრცელი თეორიული მასალა, სამეცნიერო შრომები, მეცნიერ-იურისტების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, გადმოცემული აქვს საკუთარი შეხედულებები.

წიგნში განხილულია ისეთი საკითხებიც, რაც იურიდიულ ლიტერატურაში, მეცნიერ–იურისტებს შორის საკმაოდ საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნაშრომში ავტორს იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის სპეციალისტების მიერ საკვლევ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ სადაო საკითხების გარშემო ჩამოყალიბებული აქვს თავისი მოსაზრებები, სათანადო მეცნიერული დასაბუთების და პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე გადმოცემული აქვს დასკვნები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

იმის მიუხედავად, რომ თემა „პროკურორი – გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი“ სამეცნიერო კვლევისათვის არის რთული, ღრმა მეცნიერული, მაინც გასაგებ ენაზე იკითხება. ბევრ თეორიულ საკითხებზე გადმოცემულია ავტორისეული მიდგომა.

ავტორის მიერ პროკურორის მხრიდან გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის საკითხები შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე.

ნაშრომი პირველ რიგში განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ასევე სამეცნიერო და

სამართალდამცავ სფეროში მომუშავე პირების და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, ის დახმარებას გაუწევს აგრეთვე აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

წიგნებს ერთვის რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე.

წიგნის რედაქტორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი, აწ. განსვენებული ნიკოლოზ გაბრიჩიძე, ხოლო რეცენზენტები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი ჯემალ გახოკიძე და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი.

ამჟამად, გივი აბაშიძე მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე სისხლის საპროცესო სამართლის მეტად რთულ და საინტერესო საკითხზე „პროკურორი გამოძიების სტადიაზე“(თანამედროვე რეალობა).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ აღნიშნული წიგნი, ავტორის მიერ ამ ცოტა ხნის წინ გამოცემულ წიგნთან „პროკურორი, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი“ (გამოძიების სტადიაზე) ერთად, რომლის შესახებ უნივერსიტეტის გაზეთის წინა ნომერში ვრცელი რეცენზია დაიბეჭდა, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ აღიარებული იქნა სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის.

გვინდა წარმატებები ვუსურვო გივი აბაშიძეს და იმედი გამოვთქვათ, რომ ის მომავალშიც გააგრძელებს ფართო სამეცნიერო საქმიანობას.

ᲐᲓᲐᲛ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის დეკანი, სრული
პროფესორი

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲛᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის
სრული პროფესორი

საყურადღებო მონოგრაფია ქართველ სამოციანელთა საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე

„კარგი წიგნის კითხვა გარდასულ დროთა ყველაზე საუკეთესო ადამიანებთან საუბარია და, ამასთან, ისეთი საუბარი, როდესაც ისინი მხოლოდ თავიანთ საუკეთესო ფიქრებს გადმოგვცემენ“. რენე დეკარტეს ეს სიტყვები გახსენდება, როცა ნიჭიერი კალმოსნის, პროფესორ ნოდარ ბასილაძის წიგნს – „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის“ – ხელში აიღებ და ინტერესით, მთელი გულისყურით წაიკითხავ. ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ფასეულია იმით, რომ იგი ისეთ უმნიშვნელოვანეს თემას ეძღვნება, როგორც დედაენა და მისი დაცვისათვის შეუნელებელი ზრუნვაა. წიგნის რედაქტორია სრული პროფესორი იური ბიბილეიშვილი, რეცენზენტები პროფესორები – ლევან ასათიანი, შოთა მალაზონია და სერგო დუმბაძე.

წიგნი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ხუთი თავის, დასკვნის და რუსულ და ინგლისურ ენებზე რეზიუმესაგან, რომელსაც დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია 159 წყაროს დასახელებით.

„მშობლიური ენა ძვირფასი და ახლობელია ყოველი ჭეშმარიტი ადამიანისათვის, რადგან იგი ეროვნულობის ძირითადი ნიშანი, ის მთავარი ძარღვია, რითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. ენის დაკარგვა, ერის გაქრობას იწვევს. ამიტომაც ყველა ერი ცდილობს თავისი ენის შენარჩუნებას და მოზარდი თაობის აღზრდას მშობლიურ ენაზე“, – აღნიშნავს ატორი წიგნის ანოტაციაში და ამ ამოსავალი პოზიციიდან იხილავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა უკომპრომისო ბრძოლას დედაენის დაცვისა და ამ ენაზე სწავლებისათვის.

წინასიტყვაობაში მკვლევარი საუბრობს მრავალჭირგამოვლილ, უნიკალურ, სწორუპოვარ და ქართველთათვის ხელიხელსაგოგმანებელ ქართულ ენაზე. ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქართული ენის ბადალი ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიო ენათა შორის. ტყუილა როდი ამბობდა გრ. რობაქიძე: „ვერც ერთი ენა, ევროპული, ვერ გაუტოლდება... ქართულს: ვერც ფრანგული, ვერც გერმანული, ვერც რუსული. მხოლოდ ლათინური თუ შეედრება, ხოლო გატოლებაშიაც უკანასკნელი პირველობას ქართულს დაუთმობს“. აქვე ავტორი იმოწმებს პოეტ ლადო ასათიანს, რომელმაც ქართულ ენას „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“ უწოდა.

ნ. ბასილაძეს დედაენის მნიშვნელობაზე საუბრიდან მოხერხებულად გადაჰყავს მკითხველი მშობლიური ენის დაცვის აუცილებლობაზე. დედაენას ისეთივე მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, როგორც დედას, – ამბობს იგი და ნათქვამის ნათელსაყოფად იშველიებს მხატვრული სიტყვის დიდოსტატების ნააზრევს. ენას ყოველთვის უნდა „სულის შებერვა, ცეცხლზე შემდგარ რძესავით“ (ნ. დუმბაძე). „ეროვნულ ენას საიდანაც ქარი მოუბერავს, იქედან უნდა ჩამოეფარო, რომ ცივი ნიავი არ მიეკაროს, არ გაგრილდეს, უჟმური არ შეეყაროს... ენას დედა-შვილივით ერთგულება უნდა, როცა გძინავს, მაშინაც აკვნის ტარზე უნდა გედოს ხელი და უნანავებდე, რომ არ აგიტირდეს და დედა არ გეტიროს“ (ოტია იოსელიანი).

მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ დღეს ქართული ენა თითქოს დაზღვეულია იმ შემოტევებისაგან, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ საუკუნეებში, მაგრამ ახლა სხვა საშიშროების წინაშე დგას იგი. ამ საშიშროებას უცხოური სიტყვების მშობლიურ ენაში შემოჭრა და დამკვიდრება ქმნის. ჩვენს ქვეყანაში უამრავი გაზეთი და ჟურნალი გამოდის, დასძენს ავტორი. მათში, ვისაც რა უნდა და როგორ უნდა, ისე წერს. ყოველივე ამას მოჰყვა უცხოური სიტყვების მოზღვავება. სამწუხაროდ, მათ ქართულ ენაში ცარიელი ადგილი კი არ დაიკავეს, არამედ შესატყვისი ქართული სიტყვები განდევნეს და მათი ადგილი დაისაკუთრეს. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, რადიოთი და სატელევიზიო გადაცემებსა თუ ზეპირმეტყველებაში ხშირად გაისმის უცხო სიტყვები: ალიანსი, რაც კავშირს, გაერთიანებას ნიშნავს, ბარტერი – გაცვლა-გამოცვლა, ბრიფინგი – თათბირი, ბროკერი (მაკლერი) – შუამავალი, დისკრეტიზაცია – ვისიმე ან რისიმე ღირსების შელახვა, ეიფორია – აღგზნებული, მხიარული განწყობილება, კომპრომისი – დათმობა, კონფიდენციალური – საიდუმლო, ლეგიტიმური – კანონიერი, ნომინაცია – დასახელება, ნონსენსი – უაზრობა, ოდიოზური – საძულველი, პანაცეა – უებარი საშუალება, პიარი – საზოგადოებრივი აზრი, ტოტალური – ყოვლისმომცველი, საყოველთაო და ა. შ. თუ ასე გაგრძელდა, წერს ავტორი, მალე უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოუმარჯვებლად ვერც სტატიის დედააზრს გავიგებთ და ვერც საუბრის შინაარსს.

ამ კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად მკვლევარს მიაჩნია კლასიკური პედაგოგიკური მემკვიდრეობა, მისი კრიტიკული და შემოქმედებითი შესწავლა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმეა, რადგან პედაგოგიკას, აღზრდის მეცნიერებას, ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია გააჩნია. ამიტომ მისი ფესვები შორეულ წარსულშია საძებარი.

პედაგოგიკური აზროვნების მდიდარი მონაპოვრიდან ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული კლასიკოსი პედაგოგებისა და მწერლების იდეებსა და მოსაზრებებზე მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდასა და ყოველმხრივ განვითარებაზე. ერის სასიქადულო შვილები ბავშვის ბუნებრივი ნიჭის გაშლა-გაფურჩქვნასა და მის ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბებაში განუზომელ მნიშვნელობას მშობლიურ ენას ანიჭებდნენ. ამიტომაც იყო, რომ XIX საუკუნის ქართველმა განმანათლებლებმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე (60-იანი წლები) დაიწყეს ბრძოლა მეფის რუსეთის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ქართველი ბავშვების მიერ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებას.

ნ. ბასილაძე საქმის საფუძვლიანი ცოდნით, დამაჯერებლად საუბრობს ზოგადად განმანათლებლობაზე, ყურადღებას ამახვილებს ევროპულ და რუსულ განმანათლებლობასა და ქართულ განმანათლებლობას შორის მსგავსება-განსხვავებაზე, გვაცნობს ქართველი განმანათლებლების ილიას, აკაკის, იაკობის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი წინა პლანზე აყენებდნენ ცოდნა-განათლებასა და სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ უმეცრებას, ცრუმორწმუნოებას, შურს, მტრობასა და საზოგადოებრივი საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. ქვეყნის წინსვლისა და გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მათ ხალხის აღზრდა-განათლება და მათში მებრძოლი სულის განვითარება მიაჩნდათ. საამისოდ ისინი ყველა ქართველისაგან მოითხოვდნენ მშობლიური ენის საფუძვლიანად დაუფლებასა და მისი მეშვეობით უცხოური ენების შესწავლას.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რითაც ავტორი გვაცნობს, თუ რა პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა ქართველ სამოციანელებს და რამდენად გაართვეს თავი დასახული მიზნის მიღწევას. ეს ის პერიოდი იყო, როცა მეფის რუსეთი საქართველოში ცეცხლითა და მახვილით ახშობდა ეროვნულ კულტურასა და თვითმყოფადობას. მან მთლიანად უარყო ქართული ეროვნული სკოლა და დაარსა რუსული ტიპის სკოლები, საიდანაც გამოდევნა ქართული ენა და მისი ადგილი რუსულმა ენამ დაისაკუთრა. 80-იანი წლებიდან კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად, ქართული ლაპარაკიც აიკრძალა მაღლ საზოგადოებაში, მაგრამ ცარიზმი ამითაც არ დაკმაყოფილდა და „1882 წელს ოფიციალურად აკრძალა ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საჯაროდ ხსენება“.

ნაშრომში მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა ქართველი სამოციანელების შეხედულებებს ცოდნისა და სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ. „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, – წერდა ილია ჭავჭავაძე, – რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის“.

მეოთხე თავი ეთმობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებასა და მის ნაყოფიერ საგანმანათლებლო მუშაობას. მკვლევარი სიყვარულით საუბრობს აღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელებსა და წევრებზე, რომლებიც იმ ძნელბედობის პირობებში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგნენ განათლებისა და კულტურის აღორძინების სასიკეთო საქმეს. სწორედ მათი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გაიხსნა პირველი ქართული სკოლა აჭარაში.

ბოლო მეხუთე თავში, რომელსაც ნაშრომის თითქმის ნახევარი უჭირავს, ავტორი დაწვრილებით აშუქებს ქართველ განმანათლებელთა შეხედულებებს მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღების მნიშვნელობასა და მათ ხმალშემართულ ბრძოლებზე იანოვსკების, კატკოვების, ლევიცკების, კუვშინსკების, რუდოლფების, ვოსტორგოვების და „ბნელეთის სხვა მოციქულთა“ (ი. გოგებაშვილი) წინააღმდეგ, რომელთა მიზანი იყო სკოლებიდან გაედევნათ და დედაბუდიანად აღმოეფხვრათ რუსთაველისა და გურამიშვილის ენა, ქართველში ჩაეკლათ ეროვნული სული, ცნობიერება და კულტურა.

დასასრულ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბასილაძემ დიდი რუდუნებით, სათანადო წყაროების შესწავლის, მათი ანალიზის და განზოგადების გზით შექმნა ღრმა შინაარსის მქონე, სოლიდური გამოკვლევა, რომელიც გამოირჩევა გამართული სალიტერატურო ენით და მწყობრი ლოგიკით. დასკვნები გაკეთებულია სწორად, ტევადად და, რაც მთავარია, დამაჯერებლად და დასაბუთებულად. ნაშრომი ქმედით დახმარებას გაუწევს მეცნიერ-მუშაკებს, საჯარო სკოლების პედაგოგებს, მშობლებსა და ყველა იმას, ვინც მშობლიური ენის პრობლემებითაა დაინტერესებული.

აკაკი ზოიძე

განათლების აკადემიური დოქტორი,
განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რითი განსხვავდება ჩვენი ქვეყანა ჩვენივე სახლისგან?!

ხშირად გვსმენია, რომ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დგას კაცობრიობის წინაშე- ეკოლოგიურია, ბუნება კატასტროფულ მდგომარეობაშია!!! უამრავი სტატია თუ სიუჟეტი გვინახავს გარემოს დაბინძურების, ოზონის ხვრელის მატების შესახებ. კატასტროფებზე, კატაკლიზმებსა და სტიქიურ უბედურებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ჩამოთვლა შეიძლება დაუსრულებლივ, მაგრამ ყველაფერი მაინც ადამიანის ქმედების შედეგია, „ვიმკით“ დათესილს..

„გადავარჩინოთ დედამიწა,“ „საზოგადოება ზრუნავს ბუნებაზე–დავასუფთაოთ საქართველო“, „მე ვუფრთხილდები ბუნებას“, „ვიცხოვროთ სუფთა ქვეყანაში“ –არაერთი მსგავსი ლოზუნგი , ბლოგი თუ პროექტი განხორციელებულა, მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ინიციატივით, მაგრამ სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადოებაში საზოგადოებრივი საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულებაა. თითოეული ჩვენგანი არ ვუფრთხილდებით ქალაქისა თუ სოფლის ქუჩებს, სკვერებსა თუ მოედნებს, მდინარეებსა თუ ზღვის სანაპიროებს, საკუთარ სადარბაზოებსა და ეზოებსაც ვანაგვიანებთ. თითოეულ ჩვენგანს არაერთხელ გვინახავს, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია მდინარეები თუ წყალსატევები, რომელიც სავსეა პოლიეთილენის პარკებითა და ბოთლებით. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ აღნიშნული ნივთიერებები არ იხრწნება და ქიმიური დაშლის შედეგად ორმაგად აბინძურებს ჩვენს უძვირფასეს ბუნებას. ჩვენ ქართველებს, ცოტათი(?!) გვეთაკილება მეეზოვეობა, ან თუნდაც ერთხელ მაინც შევებრძოლოთ ნაგავს. პირველ რიგში აუცილებლად უნდა შეიცვალოს მენტალიტეტი. შევეცადოთ გავარჩიოთ საფერფლე ფანჯრისაგან, ბუჩქი და სადარბაზო– ურნისაგან, ცარიელ ბოთლებსაც მივუჩინოთ სათანადო ადგილი. პატივი ვცეთ ჩვენს ქვეყანას, არცერთი ჩვენგანი არ ყრის სამზარეულოში იატაკზე მზესუმზირასა და ასანთის ღერებს. მაშ რითი განსხვავდება ჩვენი ქვეყანა ჩვენივე სახლისგან?! გარდა ზემოთაღნიშნული პრობლემისა, ჩვენი წყლების დაბინძურებასა და მისი ფლორა-ფაუნის გადაშენებას ხელს უწყობს მდინარეებში ჩამავალი ფეკალური მასები, სხვადასხვა ქიმიური ნარჩენები და ყველაზე მთავარი, ადამიანების დაუდევრობა და დღევანდელი დღით ცხოვრების წესი!!!

უამრავი მეცნიერის დასკვნა, კომენტარი, წინასწარი პროგნოზი თუ ნაშრომი არსებობს ეკოლოგიური პრობლემების, მოსალოდნელი შედეგების და მათი თავიდან აცილების შესახებ, მაგრამ ყველაზე დიდი პრევენცია ადამიანის ცნობიერებაა. თუ მან ვერ გაითავისა და ყოველდღიურად არ გაუფრთხილდა საკუთარი სახლივით ბუნებას, ყოველი ნაშრომი თუ დასკვნა თაროზე დამტვერილ წიგნად გადაიქცევა..

ადამიანებმა ერთად უნდა ვისწავლოთ და განვახორციელოთ ერთი მეტად რთული და ამავდროულად მარტივი ჭეშმარიტება–მივაგოთ უფალს უფლისა და ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა...

თეონა მელაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო ანგარიში

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზ. ,,ბათუმის უნივერსიტეტი“,№6)

მასწ. გივი აბაშიძე

ექსპერტის საპროცესო სტატუსი და ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესში.

ჟურნალი „ინტელექტუალი“ №14, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სისხლის სამართალწარმოებაში ექსპერტის საპროცესო სტატუსი და მისი ფუნქციები, კრიტერიუმები, რომელიც აუცილებელია პირის ექსპერტად დანიშვნისათვის. გადმოცემულია ექსპერტის, როგორც პროცესის მონაწილის როლსა და მნიშვნელობაზე სპეციალური ცოდნის გამოყენებით, საექსპერტო კვლევის გზით და კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით, ექსპერტიზის ჩატარების და დასკვნის გაცემის საქმეში.

მასწ. გივი აბაშიძე

ექსპერტიზა, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედება.

ჟურნალი „თემიდა“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №4, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ექსპერტის საპროცესო სტატუსი, ფუნქციები და მისი როლი კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით ექსპერტიზის ჩატარების და დასკვნის გაცემის საქმეში. გადმოცემულია საკითხები ექსპერტის დასკვნის, როგორც სისხლის სამართალწარმოებაში, საპროცესო წესით დადგენილი მტკიცებულების ერთ- ერთი დამოუკიდებელი წყაროს და საერთოდ ექსპერტიზის, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედების შესახებ.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ექსპერტის საპროცესო სტატუსი, ფუნქციები და მისი როლი კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით ექსპერტიზის ჩატარების და დასკვნის გაცემის საქმეში. გადმოცემულია საკითხები ექსპერტის დასკვნის, როგორც სისხლის სამართალწარმოებაში, საპროცესო წესით დადგენილი მტკიცებულების ერთ- ერთი დამოუკიდებელი წყაროს და საერთოდ ექსპერტიზის, როგორც ძირითადი საპროცესო მოქმედების შესახებ

მასწ. გივი აბაშიძე

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, როგორც სამართალწარმოების ცივილიზებული ფორმის დასაწყისი.

ჟურნალი „თემიდა“ №4, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში, განხილულია თანამედროვე მართლმსაჯულების ცივილიზებული ფორმა – შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, მისი წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული ასპექტები. გადმოცემულია შეჯიბრებითობის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპის არსი და მნიშვნელობა, მისი განხორციელების თავისებურებები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიაზე, მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელების თაობაზე, სათანადო წყაროებზე დაყრდნობით მოყვანილია ჩვენი შეხედულებები და არგუმენტები მათი მოსაზრებების გარშემო.

მასწ. გივი აბაშიძე

ზოგიერთი საკითხი სისხლის სამართლის პროცესის უმთავრესი

პრინციპის შესახებ. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი I, 2010

წარმოდგენილ ნაშრონში განხილულია თანამედროვე მართლმსაჯულების განხორციელების ცივილური ფორმები, მათი წარმოშობა, განვითარება და ისტორიული ასპექტები

მასწ. გივი აბაშიძე

პირის ბრალდებულად ცნობა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ „№5, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ერთ-ერთი საფუძველი - პირის ბრალდებულად ცნობა, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე ბრალდების, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის ძირითადი მექანიზმისა და პროცესის მამოძრავებელი ძალის არსი და მნიშვნელობა. შეჯიბრობითობის პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გაანალიზებულია პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია და მისი საბრალდებო ფუნქცია.

25. მასწ. გივი აბაშიძე

გამარტივებული სისხლის სამართალწარმოება ევროპის ზოგიერთ

ქვეყნებში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №6, 2010

წარმოდგენილ სტატიაში, განხილულია გამარტივებული (დაჩქარებული) სისხლის სამართალწარმოება ევროპის მოწინავე ქვეყნების, კერძოდ, ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის სისხლის საპროცესო კანონმდებლობის მაგალითზე. გადმოცემულია საკითხები სასამართლო გამოძიების გაუქმების, შეკვეცის და დაუსწრებელი სამართალწარმოების სამართლებრივი რეგულირების შესახებ.

მასწ. გივი აბაშიძე

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ანგლოსაქსური და კონტინენტური ევროპის

ქვეყნებში. ჟურნალი „ინტელექტუალი“ №15, 2010

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საზღვარგარეთის იმ ქვეყნების მაგალითზე, სადაც დიდი ხანია სასამართლო პროცესი მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. გადმოცემულია სამართლის 2 სისტემის, ანგლოსაქსური და კონტინენტური ევროპის, ანუ რომანული – გერმანული ქვეყნების კერძოდ, ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის და გერმანიის მოდელები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ

ოთარ გოგოლიშვილი

სამართალწარმოება ბათუმის ოლქში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“,თბილისი, 2010

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბათუმის ოლქი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. რუსეთმა აქ შემოიღო მართლმსაჯულების რუსული სისტემა, მაგრამ ზოგიერთი ადრინდელი, მუსლიმანური სამართლის ნორმები შეგნებულად მაინც დატოვა ძალაში, თუმცა ისიც რუსულ კანონმდებლობას დაუქვემდებარა. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოჩენილია, თუ როგორ მიმდინარეობდა მუსლიმანებით დასახლებულ ადგილებში მართლმსაჯულება და როგორ აღვივებდა სამართლებრივ შუღლს ხალხში რუსი კოლონისტები.

მასწ. ირაკლი კაცაძე

საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრინციპები, საერთაშორისო სამეცნიერო ჯურნალი „ინტელექტი“, 2010. № 2 (37)

დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპის გაგება ისტორიული ეტაპების მიხედვით სხვადასხვანაირ შინაარსს იძენდა. ის მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების აღსრულებისას გადასახადების მიერ შესრულებულ როლზე, მათი საშუალებით წარმოების დონისა და შემოსავლების რეგულირების შესაძლებლობაზე. დღესდღეისობით დაბეგვრის ბაზის განსაზღვრის მიზნით, მთავარია დავადგინოთ სუბიექტის გადამხდელუნარიონობა, ე.ი. გადასახადები შევუსაბამოთ მიღებულ შემოსავლებს.

მასწ. ირაკლი კაცაძე

საგადასახადო შემონმების მსოფლიო სტანდარტები, საერთაშორისო სამეცნიერო ჯურნალი „ინტელექტი“, 2010. № 2 (37)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების ამოღება ბიუჯეტში, უნდა განსაზღვროს გარკვეულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ვალდებულება (ტვირთი), ამასთან არ უნდა მოხდეს გადამხდელის ზედმეტად, არაკანონიერად შეწუხება

რევაზ ფუტკარაძე

პრეზუმფციის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „თეუსუ“ 2010 №1 (9)

ავტორის აზრით, ყოველი ვარაუდი ნიშნავს ობიექტურად დაუდგენელ გარემობას. რიგ შემთხვევებში სასამართლო იყენებს პრეზუმფციებს და ამით განსაზღვრავს მტკიცებულებების განაწილების წესს. პრეზუმპციის მიხედვით, ფაქტი ითვლება დადასტურებულად, სანამ იგი არ იქნება უარყოფილი. პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაცაა საჭირო, რომ ურთიერთობების მონაწილეების გაურკვეველ ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდენენ და მათი სამართლებრივი სტატუცი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული.

სტატია უცხოეთის რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალებში – 1

ასისტ. პროფ. მალხაზ ნაკაშიძე

Constitutional Amendments in Georgia, Guest post - Malkhaz Nakashidze on Georgia, On The Blog of Proffesor of Dublin State University Robert Elgie - The Semi-Presidential one, Wednesday 2 June 2010;

სტატია შეეხება საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმის პროცესს. მასში გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი კონსტიტუციისა და კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის ნორმები კვლევის შედარებით–სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით. ნაშრომში წარმოჩენილია ის დადებითი მომენტები, რასაც საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემდეგ ექნება ადგილი ხელისუფლების შტოებს შორის პოლიტიკური ძალაუფლების დაბალანსების თვალსაზრისით. სტატია გამოქვეყნდა მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის მსოფლიოში აღიარებული ერთ–ერთი ექსპერტის, დუბლინის უნივერსიტეტის (ირლანდია) სამართლისა და მმართველობის სკოლის პროფესოს რობერტ ელჯის ვებგვერდზე.

სტატია სხვა ჟურნალებში – 0

კონფერენციებში მონაწილეობა – 15

ადგილობრივი – 12

ასოც. პროფ. მურმან გორგოშაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „იდენტობისა და კულტურათა დიალოგის თანამედროვე პრობლემები,“ 26. 11. 2010, ბათუმი, თემა: „სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციის ევოლუციის საკითხისათვის“ დაბეჭდილია მასალები, იხ.“,იდენტობისა და კულტურათა დიალოგის თანამედროვე პრობლემები,“ სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა მასალები, თბილისი, 2010, ISBN 978-9941-0-2985-1.

მომხსენებლის ასრით სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციამ სახელმწიფოს ფუნქციისა და დანიშნულების ცვლილებების შესაბამისად მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. იგი აღარ წარმოადგენს სახელმწიფოსადმი ოპოზიციურად განწყობილ სეგმენტს. სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციათა ანალიზი გვაფიქრებინებს სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოს ფუნქციონალურ ელემენტად გარდაქმნის შესაძლებლობას.

ასოც. პროფ. მურმან გორგოშაძე

რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, თემაზე „ფილოსოფია და თანამეფროვეობა“, 29.11.2010, ბათუმი, თემა: „სამართალი და პოლიტიკა: ურთიერთმიმართების თანამედროვე ასპექტები“, დაბეჭდილია პროგრამა.

თანამედროვე განვითარებული დემოკრატიების ანალიზის საფუძველზე ავტორი ასხვავებს სამართლისა და პოლიტიკის და სამართლისა და კანონის მიმართებას. მისი აზრით კანონი თანდათანობით იძენს დამოუკიდებლობას პოლიტიკასთან მიმართებაში, ხოლო სამართალი, განსხვავებით კანონისაგან, სრული ავტონომიით ხასიათდება პოლიტიკასთან მიმართებაში.

ასოც. პროფ. ლევან ჯაყელი (თანაავტორობით)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2010 წლის 16 ნოემბერს ბათუმში, თემაზე: „სამხრეთ კავკასია: რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები“. გაკეთდა მოხსენება „კავკასიის უსაფრთხოების ძირითადი პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, თბილისი. თეზისები გამოქვეყნებულია ნაბეჭდი სახით: ISBN 978-9941-0-2941-

4. ასოც. პროფ. ლევან ჯაყელი (თანაავტორობით)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2010 წლის 26 ნოემბერს ბათუმში, თემაზე: „იდენტობისა და კულტურატა დიალოგის თანამედროვე პრობლემები“. გაკეთდა მოხსენება „საქართველოს პოლიეთნიკური საზოგადოება: მართლშეგნება და კულთურათშორისი დიალოგი“. თბილისი. თეზისები გამოქვეყნებულია ISBN 978-9941-0-2985-1

ასოც. პროფ. ლევან ჯაყელი (თანაავტორობით)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბულგარეთის ნეოფიტ რილსკის სახელობის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა 2010 წლის 1-3 ბათუმში, თემაზე: „Иновационные аспекты исследования культуры, истории, литературы и лингвистики стран чёрноморского побережья“. გაკეთდა მოხსენება „Кавказ и безопасность Грузии“. მოხსენება გამოიცემა საკონფერენციო მასალათა კრებულის სახით.

ასისტ. პროფ. მალხაზ ნაკაშიძე

საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის კონფერენცია, ბათუმი, 2010 წლის 1-3 ივლისი;

ასისტ. პროფ. მალხაზ ნაკაშიძე

საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონების თანამშრომლობა“, ბაკურიანი, 2010 წლის 9-10 მარტი;

მასწ. დავით კეკენაძე

საერთაშორისო კონფერენცია „სამართლის აქტუალური პრობლემები „2 010 წლის 18-19 დეკემბერი,საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, თბილისი.

მასწ. დავით კეკენაძე

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ძალადობისა და ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ, სემინარი. 2010 წ. ოქტომბერი. თბილისი.

მასწ. ქეთი ცხადაძე

საერთაშორისო კონფერენცია : „განსხვავებული და თანმხვედრი აზრების მნიშვნელობა სასამართლო კონტროლის განვითარებაში“,17- 18 სექტემბერი 2010 მონაწილე.

მასწ. ქეთი ცხადაძე

საჯარო მოხელეთა სტაჟირება ევრობის სხვადასხვა ინსტიტუციებში (გერმანია,პოლონეთი, ჩეხეთი), ბოშის ფონდის სტიპენდიანტი. 28.06.2010 წ. – 20.07.2010 მონაწილე.

მასწ. ქეთი ცხადაძე

საერთაშორისო კონფერენცია : „განსხვავებული და თანმხვედრი აზრების მნიშვნელობა სასამართლო კონტროლის განვითარებაში“,17- 18 სექტემბერი 2010 მონაწილე.

საერთაშორისო – 3

როსტომ გუნთაიშვილი

ოდესის ეროვნული იურიდიული აცადემია. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“. ოდესა. 2010 წ, 14-15 სექტემბერი. თემა „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების ზოგიერთი ასპექტი საქართველოს კანონმდებლობაში“

მოხსენებაში გაანალიზებულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხები.

როსტომ გუნთაიშვილი

ოდესის ეროვნული იურიდიული აცადემია. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“. ოდესა. 2010 წ, 14-15 სექტემბერი. თემა „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების სწავლების საკითხები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

მომხსენებლის აზრით კანონი მედიაციის შესახებ, რომელიც მოქმედებს აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, საქართველოშიც უნდა იქნას მიღებული

ირაკლი კაცაძე

ტურიზმის ბიზნესი და გადასახადების ოპტიმიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი-ტრაბიზონი, 2010, 5-6 ივნისი

გრანტები – 2

ასოც. პროფ. ომარ მახარაძე (ექსპერტი)

საგანმანათლებლო გრანტი „დემოკრატიული ღირებულებები და ქართული ცულტურა,“

პროფ. ოთარ გოგოლიშვილი

საგანმანათლებლო გრანტი „დემოკრატიული ღირებულებები და ქართული ცულტურა“

აქ მრავალფეროვანი არჩევანი გელოდებათ

ტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების, გამოწვევების, მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების შესახებ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბატონი ვაჟა დიასამიძე საუბრობს.

– ბატონო ვაჟა, რა სიახლეებისა და გამოწვევების წინაშე დგას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი?

– აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს ისეთი ღონისძიებების გასატარებლად, რომლებიც აჭარაში ზღვაზე დასვენების გარდა ტურიზმის ისეთ სახეობებს განავითარებს, როგორიცაა: ეკოტურიზმი, MICE ტურიზმი, საკრუიზო ტურიზმი. მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზების განახლება აჭარაში არსებული ტურისტული ობიექტებისა.

გაიზარდა ტურისტთა ნაკადი ირანის, პოლონეთისა და ისრაელის ქვეყნებიდან. აჭარის ტურისტული სააგენტო წელს უკვე ნებისმიერ პირს სთავაზობს ავიაბილეთების დაჯავშნასა და შეძენას მსოფლიოს ყველა მიმართულებით.

– რა სიახლეები დახვდება მიმდინარე სეზონზე აჭარაში ჩამოსულ დამსვენებელს?

– აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მხარდაჭერით შეიქმნა ახალი საინფორმაციო ცენტრები და ტურისტული პაკეტები, იყიდება აჭარის თემატიკაზე დამზადებული სპეციალური სუვენირები, დეპარტამენტის მხარდაჭერითა და ინიციატივით განხორციელდა პროექტი „ბათუმველო“, რომელიც ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს ზღვისპირა პარკში ველოებით გასეირნებისა და გადაადგილების საშუალებას მისცემს. ასევე, დეპარტამენტის მხარდაჭერით მთელი ზაფხულის განმავლობაში დაგეგმილია მრავალი კულტურული, სპორტული თუ სახალხო ღონისძიება, რაც აჭარაში ჩამოსული ტურისტისთვის, დასვენებას უფრო საინტერესოს გახდის. სიახლეა ისიც, რომ ახალი სხვადასხვა ტიპის ტურისტული მარშრუტები სანფორმაციო ცენტრებში უკვე იყიდება.

– როგორ შეაფასებდით ჩვენთან მომსახურების სერვისს?

– მომსახურების სერვისის დონის ამაღლების მიზნით, ტურიზმის დეპარტამენტში შეიქმნა „ახალი პროდუქტისა და სერვისის“ განყოფილება, რომელმაც უკვე ჩაატარა კვლევა მომსახურების სერვისის შესასწავლად. კვლევის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ გვაქვს მომსახურების საშუალო დონე. საქართველოს ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ჩვენი დეპარტამენტის მხარდაჭერით, ჩატარდა უფასო გადამზადების კურსები სასტუმროებსა და რესტორნებში მომსახურების დონის ასამაღლებლად. აღნიშნული კურსები კვლავაც მიმდინარეობს. დაგეგმილი გვაქვს ზაფხულის სეზონის შემდეგ მომსახურების დონის ამაღლების მიზნით ისევ ჩავატაროთ მომსახურე პერსონალის გადამზადების კურსები, სადაც პედაგოგებად გვინდა უცხოელები მოვიწვიოთ.

– კურორტები ღირსშესანიშნაობებითურთ, ახლადაშენებული მაღალი დონის სასტუმროები - ეს აჭარაში არსებული რეალობაა. რა ტიპის დასვენებას სთავაზობთ ტურისტს და ვინ არეგულირებს ამ მხრივ ფასებს?

– ბათუმის ტურისტული სააგენტო სთავაზობს დამსვენებელს თემატურ ტურებს როგორც ბათუმში (სითიტური, ღამის ბათუმი, ექსკურსიები გიდის თანხლებით), ისე მის შემოგარენსა და მაღალმთიან აჭარაში (ბოტანიკური ბაღი, გონიო, ქედა, ხულო და ა.შ). ტურების ფასი დადგენილია სააგენტოს მიერ და მათი შეძენა შესაძლებელია სააგენტოს საინფორმაციო ცენტრებში.

– მიმდინარე სეზონზე ტურისტების ბევრად დიდ ნაკადს ველოდებით. რა წინასწარი პროგნოზის საფუძველზეა ეს განსაზღვრული?

– 2010 -2011 წლებში ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სარეკლამო, საინფორმაციო თუ მარკეტინგული საქმიანობა ზუსტად იმისკენ იყო მიმართული, რომ აჭარაში უფრო მეტი ვიზიტორი ჩამოსულიყო. ჩვენს მიერ სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე წინასწარ განისაზღვრა მიზნობრივი ქვეყნები, სადაც მთელი ამ ხნის განმავლობაში აქტიურ სარეკლამო საქმიანობას ვეწეოდით. უნდა აღინიშნოს ასევე ის, რომ აჭარის მთავრობისა და კერძო სექტორის ხელშეწყობით სხვადასხვა მიმართულებებით ავიარეისები დაინიშნა: კიევი, ბაქო, თეირანი, რაც შესაბამისად ძალიან უწყობს ხელს ტურისტთა ნაკადის ზრდას, რადგან მათთვის ამ სახის ტრანსპორტით გადაადგილება საკმაოდ კომფორტულია.

ამასთან, დეპარტამენტის სტატისტიკის განყოფილება ატარებს ყოველდღიურ კვლევას აჭარაში ტურისტთა რაოდენობის შესახებ. შესაბამისად, არსებული მონაცემების საფუძველზე გვაქვს წინასწარი მიახლოებითი პროგნოზი როგორც წლიური, ისე სეზონური მაჩვენებლით. კერძოდ, 2011 წლის მანძილზე აჭარა დაახლოებით 1 450 000 ტურისტს ელოდება.

– აშკარაა, რომ ბათუმის ქუჩები წესრიგდება, მაგრამ სეზონის დასრულებამდე ბევრი რამ კვლავ ვერ ესწრება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს დამსვენებელთა მოზიდვაზე იმოქმედებს?

– დამსვენებელთა უმრავლესობა გაგებით და მოწონებით ეკიდება იმ ფაქტს(რისთვისაც მადლობას ვუხდით მათ), რომ ქალაქი შენებისა და გალამაზების პროცესშია, ხშირად ეს შთამბეჭდავია მათთვის. მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაკლებად იმოქმედებს ტურისტთა ნაკადის შემცირებაზე.

– ტურიზმის რომელ სახეობებს სთავაზობთ დამსვენებელს და წინა წლების გათვალისწინებით, რაზეა უფრო მაღალი მოთხოვნა?

– წინა წლების კვლევებმა ცხადყო, რომ ყველაზე პოპულარული ბათუმის ზღვისპირა პარკი, ბოტანიკური ბაღი და გონიოს ციხეა, მაგრამ გასული წლისა და მიმდინარე წლის მონაცემებით, საგრძნობლად იმატა ეკოტურიზმით დაინტერესებული ტურისტების რაოდენობამ. აჭარის ტურისტულ სააგენტოს შექმნილი აქვს სპეციალური ეკო-მარშრუტები აჭარის მაღალმთიანი რეგიონების მიმართულებით, რომლებითაც აქტიურად სარგებლობენ განსაკუთრებით უცხოელი ტურისტები. მოთხოვნა გაიზარდა ჩვენს ქალაქში საერთაშორისო კონფერენციებისა და ბიზნეს-ფორუმების, გამოფენებისა და სხვადასხვა საქმიანი შეხვედრების ჩატარების მიზნით. ჩვენი სააგენტო უშუალოდ შეასრულებს შუამავლის როლს მსგავსი საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებაში, შესთავაზებს რა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ასოციეციებსა და კომპანიებს ბათუმს, როგორც MACE ტურიზმის ახალ ბრენდს.

– კულტურული ღონისძიებების შესახებ რას იტყვით?

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოს კულტურული ცენტრი ზაფხულობით თბილისიდან ბათუმში ინაცვლებს. ბათუმმა უმასპინძლა არაერთ მაღალი რანგის კონცერტსა და ჯაზ-ფესტივალს. ტრადიცია კვლავაც გრძელდება. უამრავი კულტურული ღონისძიება (ჯაზფესტივალი, სპექტაკლები, კონცერტები, გამოფენები) იგეგმება ჩვენს ქალაქში. ტურიზმის დეპარტამენტი ახორციელებს კოორდინირებულ თანამშრომლობას იმ უწყებებთან, რომლებიც გეგმავენ ამა თუ იმ კულტურულ ღონისძიებას. შედგენილი გვაქვს ე.წ. „ივენთების“ კალენდარი, ვაწვდით ინფორმაციას დაინტერესებულ ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებს.

– სად და როგორ შეიძლება გაერთოს აქ ჩამოსული ტურისტი?

– აქ ჩამოსულ ტურისტს აქვს მრავალფეროვანი არჩევანი გართობისა, ეს იქნება ქალაქისა და რეგიონის სხვადასხვა ღირშესანიშნაობის დათვალიერება სპეციალური ტურების ფარგლებში, მიმდინარე ჯაზ-ფესტივალსა თუ სხვადასხვა კონცერტებზე დასწრება, სეზონური სპექტაკლები ბათუმის დრამატულ თეატრში, ცოცხალი მუსიკითა და მოწვეული დიჯეების მიერ გაცოცხლებულ ღამის კლუბებსა და ბარ-რესტორნებში. ამავდროულად, წელს ქალაქი დამსვენებელს დელფინარიუმში შესანიშნავი სანახაობით ხვდება, სადაც ყველა ასაკის მაყურებელი ერთნაირად მოიხიბლება.

– ტურისტების ზრდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის სურსათის ფასების ზრდაზე არ აისახება?

– სეზონზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით აჭარის მთავრობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მუშაობს სპეციალური პროგრამის შემუშავებაზე, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ღონისძებების გატარებას, რათა არ მოხდეს სურსათსა და სხვა სახის პროდუქტებზე ფასების ზრდა ზაფხულის სეზონის პერიოდში მაშინ, როდესაც რეგიონში ყველაზე მეტი ვიზიტორია. რაც შეეხება კერძო სექტორს, აქ უკვე ფასები თვითრეგულირებადია,რაც მოთხოვნის შესაბამისად არის განპირობებული.

–როგორი იქნება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიმართვა დამსვენებლისადმი – რატომ უნდა ჩამოვიდნენ ისინი აჭარაში?

– წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც აჭარაში მხოლოდ ზღვაზე დასასვენებლად ჩამოდიოდნენ. დღეს ჩვენი რეგიონი არის ქვეყნის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი, საერთაშორისო ღონისძიებებისა და ფესტივალების ადგილი, ეს არის კუთხე, სადაც ტურისტს ერთდროულად შეუძლია მოინახულოს მაღალმთიანი სოფლების საუცხოო ბუნება თავისი კულტურული ღირშესანიშნაობებით, დატკბეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და დიდი ბულვარის სილამაზით, სრულიად დაუგეგმავად გახდეს ქალაქში მიმდინარე უფასო კონცერტებისა და სანახაობების მომსწრე, დააგემოვნოს ტრადიციული სამზარეულოს საუცხოო კერძები, დაესწროს მთიანი აჭარის ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებს...

– როგორია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენეტების სამომავლო მიზნები, პერსპექტივები და ამოცანები...

– დეპარტამენტი აქტიურად განაგრძობს მუშაობას აჭარაში ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისა და ტურიზმის ახალი პროდუქტების შექმნისათვის, თანამშრომლობს ბევრ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ამ ეტაპისათვის დეპარტამენტში უკვე მიმდინარობს მომავალი წლისათვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რაც საბოლოოდ 2012 წელს აჭარაში უფრო მეტ ტურისტს მოიზიდავს. ეკოტურიზმის, MICE ტურიზმისა და საკრუიზო ტურიზმის სახეობების კიდევ უფრო მეტად განვითარებასთან დაკავშირებით მზადდება სპეციალური პროექტები, იგეგმება საერთაშორისო დონეზე სარეკლამო საქმიანობები აჭარის პოპულარიზაციის მიზნით.

შთაბეჭდილებები სვანეთში მოგზაურობის შემდეგ

ტურიზმის განვითარების ძირითად ფაქტორს მიეკუთვნება დამსვენებელთა მისწრაფება – დაათვალიერონ ბუნება, ჰქონდეთ საშუალება ისუნთქონ სუფთა ჰაერი, მიირთვან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, ასევე მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებით. ამასთანავე, მოტივი, რომელიც განსაზღვრავს დამსვენებელთა არჩევანს, მოგზაურობის დროს ახალი ტეროტირიების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს გაცნობას წარმოადგენს.

საქართველოს, როგორც ტურიზმისათვის საუკეთესო დანიშნულების ქვეყანას, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია მნახველთათვის. თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები. ამიტომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის II კურსის I-ლი ჯგუფის სტუდენტებმა გადავწყვიტეთ კურსის წარმატებულად დამთავრების შემდეგ მოგვეწყო ექსკურსია და მოგვენახულებინა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხე სვანეთი. ჩვენი განზრახვის სისრულეში მოყვანა არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა. ჩვენი ფაკულტეტის დეკანის, ბატონ ადამ მახარაძის დახმარებით მოვაგვარეთ ორგანიზებული საკითხები და 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე (ისე, როგორც შემდეგ აღმოჩნდა უკეთესი იყო დილით წავსულიყავით, რადგან ღამით მესტიისკენ მიმავალი გზა არც თუ ისე სასიამოვნო და უსაფრთხო აღმოჩნდა), გავიდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან (სვანეთის მიმართულებით) ჩვენი ჯგუფის 19 სტუდენტი ასოცირებულ პროფესორებთან – ალექსანდრე თურმანიძესა და ანზორ დევაძესთან ერთად. ექსკურსიის საორგანიზაციო საქმეებს განაგებდნენ ზურაბ დიასამიძე და ზაზა გორაძე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

ექსკურსიისათვის მზადება ჯერ კიდევ აპრილში დავიწყეთ. ჩვენი დიდი სურვილი იყო დაგვეთვალიერებინა საქართველოს ის ღირსშესანიშნაობები, რომლებიც მანამდე სურათებით და გადმოცემით ვიცოდით. ჩვენ მიერ ჩატარდა უამრავი მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც აუცილებელი იყო ექსკურსიისათვის, განვსაზღვრეთ ძირითადი მარშუტი და როგორც აღვნიშნეთ, 30 ივნისს, საღამოს 8 საათზე, გავუდექით გზას. გზაში ვმხიარულობდით, ვუსმენდით მუსიკას, ვუყვებოდით ერთმანეთს საინტერესო ისტორიებს ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ, ვთამაშობდით ინტელექტუალურ თამაშებს. რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო ვუახლოვდებოდით სვანეთს და მგზავრობაც უფრო საშიში ხდებოდა. დაახლოებით ღამის სამ საათზე (როგორც ვიცით, სვანეთის მიმართულებით მიმდინარეობს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რომელიც მაღალმთიან სვანეთს დააკავშირებს ბარის რაიონებს. სვანეთი უგზოობის გამო თვეებით ჩაკეტილია ზამთარში ჩამოწოლილი ზვავების გამო და მოწყვეტილია ბარის რაიონებს), მივადექით ახლადჩამოწოლილ ზვავს. სიტუაციას უფრო ამწვავებდა ის ფაქტი, რომ ქვები ყოველ წუთს ცვიოდა, ჩვენ კი ერთ ადგილას ვიყავით გაჩერებულნი და წინ ვერ მივდიოდით. საკმაოდ შევშინდით, მაგრამ მეორე დღეს ყოველივე ამას სიცილით და ხუმრობით ვიხსენებდით. როგორც კი გათენდა, საგზაო სამსახურის თანამშრომლებმა მძიმე ტექნიკის გამოყენებით გაწმინდეს გზა ჩამოსული ქვაღორღისაგან და ჩვენც განვაგრძეთ სვლა.

ადრე დილით ვიყავით მესტიაში, სადაც დავბინავდით ქალბატონ დალაილასთან, რომელმაც სტუმრებს შეღავათიან ფასებში დაგვითმო ბინა, სადაც ცოტათი ვიწროდ ვიყავით, მაგრამ მასპინძლების გულითადად მიღების შემდეგ ყველა ნაკლი დაგვავიწყდა. დილით ცოტა წავიხემსეთ და გავეშურეთ დასახული მიზნების შესასრულებლად. თითქმის მთელი მესტია ფეხით შემოვიარეთ, ვიყავით მდინარის ნაპირთან, გვინდოდა სათავის ნახვაც, მაგრამ უგზოობამ ხელი შეგვიშალა. მოვინახულეთ მიხეილ ხერგიანის კოშკი, თუმცა შიგნით არ შეგვიშვეს, რაც იმით აგვიხსნეს, რომ იქაურობა სტუმრების მისაღებად ჯერ მზად არ იყო. დავათვალიერეთ მარგიანებისა და რატიანების კოშკები, ავედით კოშკის ბოლო სართულზე, რომელიც დაახლოებით შვიდ სართულიანი სახლის სიმაღლისა იყო. კოშკის თავიდან დანახულმა ბუნებამ ყველა მოაჯადოვა, აღაფრთოვანა ცამდე აზიდულმა მთებმა, რომლის მწვერვალებს ამშვენებდა მარადიული თოვლის საფარი, ქვევით მწვანე ხე-ტყით, მთების ძირში ჩქარი მდინარეებით, მდინარის ნაპირას კი კოშკებითა და ძველი ნაგებობებით, რაც მართლაც ზღაპრული, ულამაზესი და შეუდარებელი იყო. შემდეგ კი მოვინახულეთ სვანური სახლ-მუზეუმი. მესტიის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა რუსუდანმა საკმაოდ საინტერესოდ გაგვაცნო სვანური კოშკების, მათი მოწყობილობების, სვანეთისა და სვანების ისტორია. საღამოს დაღლილ–დაქანცულები მივედით ქალბატონ დალაილასთან და ვივახშმეთ, ვიმხიარულეთ. ღამით დავისვენეთ და დილით კი ემოციებით დატვირთულები წამოვედით ბათუმისაკენ. გზად ზუგდიდში გავჩერდით და დავათვალიერეთ დადიანების სასახლე შემოგარენთან ერთად, გავერთეთ ატრაქციონებზე და 2 ივლისს, საღამოს 8 საათისთვის დავბრუნდით ბათუმში. ყველა კმაყოფილი დარჩა იმ გადაწყვეტილებით, რომ მომავალში კიდევ დავლაშქრავთ საქართველოს სხვა ღირსშესანიშნავ კუთხეს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ასე მრავლად გააჩნია.

ფინანსებისა და საბანკო საქმის
სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი
ნაზი გელაძე

ოცდახუთწლიანი ოდისეა

1921 წლის თებერვალი ქართული ეროვნული საუნჯის ისტორიაში საბედისწერო აღმოჩნდა. ქართულმა განძმა გაიზიარა საქართველოს მთავრობის ბედი. იგი იძულებული გახადეს სამშობლოდან შორს, საფრანგეთში გადახვეწილიყო. ქართული სული მოწყდა მის სხეულს და „ოცდახუთწლიანი ოდისეის“ შემდეგ ისევ დაუბრუნდა მას. 25 წლის განმავლობაში „განძის გუშაგობა“ წილად ხვდა საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად აღიარებულ გმირული „ოდისეის საჭეთმპყრობელს“, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილს. რომ არა ექვთიმე თაყაიშვილი, ვინ იცის, დღეს, განძი ვის ხელში იქნებოდა.

მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და მძიმე ემიგრანტული ცხოვრებისა, წმინდა ექვთიმემ მაინც შეძლო განძის უკლებლივ დაბრუნება სამშობლოში და ამით პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა მშობელი ერის წინაშე.

ბატონი ექვთიმე წერდა: „ძალაუნებურად მომიხდა ემიგრანტობა, რათა არ მოვშორებულიყავ ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა ყოველგვარი საფრთხისაგან“. არადა საფრთხე მართლაც დიდი იყო. ხომ შეიძლებოდა რომ განძი წყალში ჩაძირულიყო. ეს ადვილი საქმე არ იყო. ამ წმინდა საქმეს დიდი ხნის ბრძოლის ისტორია აქვს.

მძიმე განსაცდელის ჟამს, 1921 წლის 11 მარტს, ქართული განძით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი“ ბათუმიდან გავიდა. ფათერაკიანი მოგზაურობის შემდეგ, საბოლოოდ განძმა პარიზიდან 26 კილომეტრის მოშორებით, გარეუბან ლევილში დაიდო ბინა. ქართულ განძში შედიოდა თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო ხაზინების ვალუტა, ამავე მუზეუმების განძეულობა, ნივთები ბორჯომის დიდი მთავრის სასახლისა და ხობის მონასტრის განძეულობიდან. 249 ყუთში განთავსებული განძი ფულის მაშინდელი კურსით 10471770 ოქროს მანეთად შეუფასებიათ. იგი ჩაბარდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას და პარიზის ბანკ „გარდმებლის“.

გადამდნარი ვერცხლის ზოდები გაყიდეს 1,200000 მანეთად. ამ თანხის ნაწილით, 1922 წელს შეიძინეს ლევილის მამული და სასახლე. ექვთიმესა და მის მეუღლეს ამ სასახლეში მიაკუთვნეს ორი ოთახი. აქვე დააწყვეს 15 ყუთი საეკლესიო ნივთებით, არქეოლოგიური მასალებითა და სურათებით.

ბატონი ექვთიმე შეძლებისდაგვარად, ნაწილ-ნაწილ აბრუნებდა განძს საქართველოში. 1935 წელს, მან, როცა საფრანგეთის მთავრობის მხრიდან ქართულ განძს საფრთხე დაემუქრა, 39 ყუთი უკლებლივ დააბრუნა ისე, რომ მათ არაფერი დაკლებია. ეს იყო ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე გამოცემული წიგნები. წმინდა ექვთიმე წერდა: „ევროპის რომელიმე უნივერსიტეტისათვის რომ შეგვეთავაზებინა იგი, სულ ცოტა, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდით ულაპარაკოდ“.

უცხოელთა გარდა, განძეულს შინაური მტერიც ჰყავდა. განძზე პრეტენზიას აცხადებდა სამაგრელოს უკანასკნელი მთავრის ასული სალომე მინგრელსკაია – ობელენსკაია. 7 წელი ებრძოდა ექვთიმე მას და მთავარ საბუთად ექვთიმემ გამოიყენა დამფუძნებელი კრების 1920 წლის 21 დეკემბრის დეკრეტი, თავად ნიკოლოზ მინგრელსკის ქონების პატრონის გასახელმწიფოებრიობის შესახებ.

საფრანგეთის მიერ მენშევიკური მთავრობის ამოცნობის შემდეგ, პრინციპული, უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, განძის მეპატრონეთაგან ერთადერთ ნდობით აღჭურვილ პიროვნებად აღიარეს ექვთიმე თაყაიშვილი. ამით წმინდა ექვთიმემ გზა გადაუჭრა შინა და გარე მტერს განძის ბედში ჩარეულიყვნენ.

უშედეგოდ დამთავრდა ნაცისტების ცდაც განძის გერმანიაში გადატანის შესახებ. რა არ შესთავაზეს, მაგრამ ვერაფრით ვერ გადაიბირეს ბატონი ექვთიმე.

1945 წლის 11 აპრილს, განძის საბოლოოდ საქართველოში დაბრუნება ი. ბ. სტალინისა და საფრანგეთის მთავრობის მაშინდელი მეთაურის დე გოლის შეხვედრამ გადაწყვიტა.

ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლის დიდი დამფასებლის, პროფესორ იოსებ მეგრელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ექვთიმეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „განახლდა განძეულის დაბრუნების ოცდახუთწლიანი ოდისეის განმცდელი და უცხოეთში განაწამები გული. მისი მოწამეობრივი ცხოვრება მისაბაძია ყოველი ქართველისთვის. ბუნებით ოპტიმისტი, სიცოხლის ბოლოს წერდა: „ჩვენს შემდეგ ჩვენზე უკეთესები მოვლენ და რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, ისინი გააკეთებენ – ო“. ღმერთმა უსმინოს და აღასრულოს წმინდა ექვთიმეს ეს სიტყვები.

მერაბ მეგრელიშვილი

ზოგიერთი რამ ფროიდის მოღვაწეობისა და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესახებ

ნოდარ ბარამიძე
რუსუდან გიორგაძე

(ზ. ფროიდის დაბადებიდან 155-ე წლისთავისათვის)

ზიგმუნდ ფროიდი დაიბადა 1856 წლის 6 მაისს ფრაიბერგში. 1873 წელს იგი შევიდა ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც წარმატებულ სწავლასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც. მისი პირველი ნაშრომები ეხებოდა ნერვული სისტემის ანატომიასა და ფიზიოლოგიას. 1880 - იანი წლებიდან ფროიდი იწყებს პრაქტიკული მედიცინის სფეროში მუშაობას და დოქტორ ბრეიერთან ერთად აქვეყნებს ნაშრომებს ისტერიის ფსიქოგენური წარმოშობისა და ჰიპნოზის დახმარებით მისი მკურნალობის შესახებ.

1885 წელს ფროიდი მიემგზავრება პარიზში და ხვდება შარკოს, ნევროპათოლოგიის ფრანგული სკოლს ხელმძღვანელს. იგი მასთან გადის სტაჟირებას. როგორც ცნობილია, შარკოც, ბრეიერის მსგავსად, ავადმყოფთა მკურნალობისას იყენებდა ჰიპნოზის ტექნკას.

თუკი ადრე ფროიდი ფიქრობდა, რომ არსებობს კავშირი ისტერიასა და სექსუალობას შორის, მომდევნო პერიოდში მან ასეთი კავშირის არეალი კიდევ უფრო გააფართოვა. კერძოდ, მის ხელთ არსებული მდიდარი კლინიკური მასალების საფუძველზე ფროიდი ასაბუთებს, რომ ნევრასთენიას (ნევროზულ დაავადებებს) ყოველთვის გააჩნია სექსუალური ხასიათის მიზეზები.

შემდგომში ფროიდი უარს ამბობს ჰიპნოზზე, როგორც არაეფექტურ მეთოდზე და ამუშავებს ავადმყოფთა მკურნალობის საკუთრივ ფსიქოანალიტიკურ საშუალებას, რომელიც ცნობილია თავისუფალი ასოციაციის მეთოდის სახელწოდებით. ამ მეთოდების არსი ასეთია: ჰიპნოზურ მდგომარეობაში (რაც ყოველთვის მისაღწევი როდია) ავადმყოფს ალაპარაკებდნენ იმ ვითარების შესახებ, რომელიც მისი დაავადების მიზეზი გახდა. ამ მიზეზების მოგონებისა და წარსულში ერთგვარად დაბრუნების შემთხვევაში ხდება ტრავმული განცდების ნარჩენების -სიმპტომების მოხსნა, ანუ კათარზისი (ასეთია მოლოდინი). თავისუფალი ასოციაციის მეთოდის გამოყენებისას ფსიქოთერაპევტი ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისაგან ღებულობს მასალას, ე.წ. „ფსიქოანალიზის მადანს“, შემდეგ ახდენს მის გადამუშავებას, ინტერპრეტაციასა და ავადმყოფური განცდების ნამდვილი მიზეზების პაციენტის ცნობიერებამდე დაყვანას, რაციონალური ანალიზისათვის მისაწვდომი ფორმით ტრავმატოგენური კონფლიქტის ხელახლა განცდას, რაც მისი განკურნების საფუძველი ხდება (უნდა გახდეს).

ფროიდი აგრძელებს ადამიანის ფსიქიკის შესახებ თავისი მოძღვრების შემდგომ დამუშავება - სრულყოფას და აყალიბებს ფსქოანალიზური თეორიის კვინტესენციას, რომლის მიხედვთაც ადამიანის ფსიქიკური სამყარო შედგება სამი ფენისაგან. ესენია: არაცნობიერი, ქვეცნობიერი და ცნობიერი. იგი თვლის, რომ ადამიანის ქცევის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია არაცნობიერი ძალები, რომელთა შორის უმთავრესია ლიბიდო. დასაწყისში ფროიდი ლიბიდოს განსაზღვრავდა, როგორც სექსუალური მისწრაფების ფსიქიკურ ენერგიას, მაგრამ თანდათანობით ეს გაგება გაფართოვდა და ლიბიდო მასთან უკვე აღნიშნავს ისეთი მისწრაფებების ენერგიას, როგორიცაა სიყვარული, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით (სიყვარული ქალისადმი, მშობლებისადმი, მეგობრებისადმი, ხელოვნებისადმი, შრომისადმი, საკუთარი თავისადმი, ბუნებისადმი და ა.შ.).

1896-1902 წლებში ფროიდი აღმოჩნდა სრულ იზოლაციაში მეცნიერული სამყაროსაგან, რომელმაც მისი თეორია მიიღო „სულელური ტონის ხუმრობად“. ამ პერიოდში ფროიდი ინტენსიურად მუშაობს თავის ფსიქოანალიზურ თეორიაზე, იკვლევს ადამიანის ფსიქიკას, აკეთებს შესაბამის დასკვნებს.

მეცნიერული იზოლაცია ბოლოს და ბოლოს მთავრდება. ფროიდის გარშემო იკრიბებიან მისი ცნობილი თანამოაზრეები, მეცნიერის პოპულარობა თანდათანობით იზრდება, მას იწვევენ ლექციების წასაკითხად ამერიკაში, ქვეყნდება მისი ცნობილი ნაშრომები: „სიზმრების ახსნა“ (1900), „გონებამახვილობა და და მისი კავშირი არაცნობიერთან“ (1905), „სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიაში“ (1905), „ტოტემი და ტაბუ“ (1913), „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციები“ (1920), „სიამოვნების პრინციპის მიღმა“ (1920), „მე და იგი“ (1923) და სხვა. მთელ რიგ საკითხებთან ერთად, მათში ფროიდი გვთავაზობს სოციალიზაციის მისეულ გაგებას, რომელიც არსებითად დაიყვანება ადამიანის მიერ სექსუალობის განვითარების რამდენიმე სტადიის გავლამდე. ფსიქოსექსუალური განვითარების პირველ (ექვს წლამდე) პერიოდში გამოიყოფა რამდენიმე ფაზა, რომლებიც განსხვავებული ეროგენული ზონების დომინირებით ხასიათდებიან. ეს ზონებია ორალური, ანალური და ფალოსური. ორალურ სტადიაზე (1,5 წლამდე) ლიბიდოს დაკმაყოფილება ხდება პირის ღრუსთან დაკავშირებული კონტაქტებით -წოვა, კბენა, ღეჭვა. ანალურ სტადიაზე (1,5-3 წლამდე) ეს ვითარება უკავშირდება ფეკალური მასის განდევნა-შეკავების პროცესებს. ფალოსურ სტადიაზე (3-6 წლამდე) იწყება გენიტალური ზონის გაბატონების პროცესი. ფროიდის აზრით, სწორედ ამ სტადიაზე ავლენს ბავშვი ე.წ. „ოიდიპოსის კომპლექსს“ - მისწრაფებას საწინააღმდეგო სქესის მშობლისადმი და დასჯის შორეული ძირების მქონე შიშს. საკუთარი სქესის მშობლისადმი კი ბავშვი განიცდის ამბივალენტურ გრძნობებს: ერთის მხრივ, ეჭვიანობას, მეორეს მხრივ, ყველანაირად ცდილობს მიბაძოს მას. სოციალიზაციის პროცესში ეს კომპლექსი მუმივი წნეხის ქვეშაა, განიცდის რეპრესიებს, დევნას და ბავშვიც გადადის სოციალიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე. კერძოდ, ფსიქოსექსუალური განვითრების მეორე პერიოდში ლიბიდოს ენერგია პოულობს შესატყვის გარე ობიექტს.

ფროიდის აზრით, ადამიანის ხასიათობრივი ნიშნები და ნევროტული გამოვლინებები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვლო მან ფსიქოსექსუალური განვითარების გზა. კიდევ მეტი, არსებობს ორმხრივი მიმართება ინდივიდის ნევროტიზაციასა და საზოგადოების კულტურას შორის. ერთის მხრივ, ცივილიზაცია და კულტურა თრგუნავს ინდივიდის ბუნებას, იწვევს მის ნევროტიზაციას, მეორეს მხრივ, სუბლიმაციის გზით იგი სტიმულირებას უკეთებს ადამიანის შემოქმედებით საქმიანობას.

ფსიქოანალიზური თეორიის განვითარების კვალობაზე ფროიდი ამუშავებს პიროვნების სტრუქტურის მოდელს, რომელიც, მისი აზრით, შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ქვესტრუქტურისაგან. ესენია: „იგი“, „მე“ და „ზე-მე“.

ცხოვრების ბოლო ათი წელი ფროიდმა მიუძღვნა ადამიანის ბუნების, საზოგადოებისა და კულტურის შესახებ გამოთქმული თავისი შეხედულებების ანალიზსა და განზოგადებას. იგი კონცეპტუალურად განიხილავს ფსიქოანალიზის მრავალწლიან გამოცდილებასაც.

1938 წელს, ავსტრიის ფაშისტების მიერ დაპყრობის შემდეგ, ფროიდის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. დიდი სირთულების გადალახვის ფასად იგი გამოვიდა ვენის ტყვეობიდან და სიცოცხლის ბოლო თვეები გაატარა ინგლისში. ფროიდს წლების მანძილზე აწუხებდა პირის ღრუს კიბო, რომელიც აუტანელ ტკივილებს აყენებდა მას. ვერაფერი უშველა 30-ზე მეტმა ქირურგიულმა ჩარევამაც. როდესაც დარწმუნდა, რომ მისი შემდგომი არსებობა უაზრო იქნებოდა, ფროიდმა სთხოვა ექიმს სიკვდილის მოახლოება. ამბობენ, რომ ეს ექიმი მისივე ქალიშვილი იყო. ასე გარდაიცვალა ფროიდი 1939 წლის 23 სექტემბერს, ლონდონში, 83 წლის ასაკში.

ფროიდის მოძღვრებამ გამოიწვია დიდი რეზონანსი არა მხოლოდ მეცნიერებაში, არამედ საზოგადოებაშიც. მან ბევრად შეცვალა ადამიანთა წარმოდგენები საკუთარ თავზე და გარემომცველ სამყაროზეც. ამას თვით ფროიდიც ხედავდა. ცნობილია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის თავმოყვარეობამ მეცნიერების მხრიდან სამი უმძიმესი შეურაცხყოფა განიცადა. პირველი იყო კოპერნიკი, რომელმაც ადამიანის გეოცენტრული წარმოდგენები შეცვალა ჰელიოცენტრულით, დაამსხვრია მისი რწმენა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრს წარმოადგენს



(კოსმოლოგიური შეურაცხყოფა). მეორე იყო დარვინი, რომელმაც გააქარწყლა ადამიანთა ქედმაღლური შეხედულება თავისი განსაკუთრებულობის, ზეციური წარმოშობის შესახებ (ბიოლოგიური შეურაცხყოფა). მესამე თვითონ ფროიდია, რომელმაც კაცობრიობას ყველაზე მძიმე, ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მიაყენა, როდესაც აჩვენა, რომ ადამიანის ქცევა ცნობიერებით კი არა, არსებითად არაცნობიერი (არც თუ ისე ჯანსაღი) ძალებით იმართება. ფროიდის ასეთი მსჯელობა და მისი თვითშეფასება მართლაც არ გამოირჩევა ზედმეტი თავმდაბლობით, მაგრამ მისმა მოძღვრებამ რომ დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის კულტურაზე, ეს უდავოა.

ფსიქოანალიზი, როგორც თვით ფროიდი ამბობდა, იყო მისი ქმნილება. ამიტომაც, ამ თეორიის ღირსება და ნაკლი, ფსიქოანალიზის წყაროები უნდა ვეძებოთ მის პიროვნებაში.

როგორი ადამიანი იყო ფროიდი? როგორი იყო მისი მამოძრავებელი ძალები, რომელიც აიძულებდა მას ემოქმედა, ეაზროვნა და ეგრძნო ფროიდისეულად? ცხადია, როგორც ფროიდის თეორიის, ისე მისი პიროვნების შეფასებაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა. ფროიდის ერთგული მიმდევრების მტკიცებით, მას არ ჰქონდა არანაირი პირადი ნაკლი. იყო თავისი საქმის დიდი ოსტატი. უშიშარი, უკომპრომისო ჭეშმარიტების ძიებაში, ოჯახის მოსიყვარულე, კეთილი მოსწავლეების მიმართ და მკაცრი, სამართლიანი მოწინააღმდეგებთან. მაგრამ იყო განსხვავებული აზრიც. ყველაზე საოცარი და ყველზე დიდი ემოციური ძალა ფროიდისა იყო ჭეშმარიტების სიყვარული, ურყევი რწმენა გონების მიმართ. გონება იყო მისთვის ის ძალა, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა, თვით ტანჯვის შემსუბუქებაც კი. გონება, როგორც ფროიდი ამბობდა, არის ერთადერთი იარაღი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ილუზიების უარყოფა და დამოუკიდებლობის მოპოვება. გონებისადმი ურყევმა რწმენამ და ცოდნისაკენ მისწრაფების მოწოდებამ განსაზღვრა, როგორც ფროიდის პიროვნება, ასევე მისი შემოქმედებაც.

ფროიდის ებრაული წარმოშობა თუ რაიმეს ნიშნავდა, პირველ რიგში ეს სულიერი განათლების მიღებაა. თვით ებრაული ტრადიცია იყო გონებისა და ინტელექტუალური დისციპლინის ტრადიცია.

ფროიდის მამა, მცირე ფაბრიკანტი იყო. მან თავისი საქმიანობა ავსტრიული ეკონომიკის დაცემის გამო დატოვა, რამაც ფროიდების ოჯახი გააკოტრა და სიღარიბემდე მიიყვანა. ამ მკაცრმა გამოცდილებამ ფროიდს ჯერ კიდევ ბავშვობაში ასწავლა, რომ არც სოციალურ სტაბილურობას უნდა მივენდოთ და არც ეკონომიკურს. არც ერთი ტრადიცია არ გვაძლევს უსაფრთხოების გარანტიას და არაა სანდო. ფროიდს ყოველთვის მიაჩნდა, რომ უნდა ვენდოთ მხოლოდ ჩვენს გონებას, როგორც ერთადერთ იარაღს, საკუთარ თავს და არა სხვას.

ფროიდისათვის, თუ განვიხილავთ მის პიროვნებას მთლიანობაში, სიყვარულიც არ იყო საიმედო. ის ცნობდა მხოლოდ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც გვაძლევდა გონება.ამიტომაც მას სურდა დაემარცხებინა სამყარო ინტელექტუალურად. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ფროიდის დიდ სიყვარულზე ჭეშმარიტების მიმართ, აქვე უნდა ვთქვათ მის მამაცობაზეც. ის არ თვლიდა საკუთარ თავს გენიოსად, მაგრამ აფასებდა მამაცობას, როგორც მისი პიროვნების შესანიშნავ თვისებას.

ფროიდისა და მისი დედის დამოკიდებულების შესახებ ვიცით საკმაოდ ცოტა. ფროიდი დედის საყვარელ შვილად ითვლებოდა. ამაში იგი და-ძმაზეც კი ეჭვიანობდა. მას უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. დედისადმი დიდი მიჯაჭვულობა ფროიდისა გამოვლინდა უფროს ასაკშიც. შემდგომში ფროიდი წერდა: მამაკაცი, რომელიც დედას უყვარს, მთელი ცხოვრების მანძილზე დაჯილდოებულია გამარჯვების გრძნობით, წარმატების მიღწევების რწმენით, რაც გვაძლევს რეალური წარმატების საშუალებას. ცნობილი ამერიკელი ნეოფროდისტი ერიხ ფრომი ამბობს, რომ დედის ნებიერა ბიჭად ყოფნამ ბევრად განსაზღვრა ფროიდის შემდგომი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, რომლებისგანაც ის მოითხოვდა ასევე უპირობო სიყვარულს, მხარდაჭერასა და აღტაცებას.

დედაზე დამოკიდებულებამ ღრმად იჩინა თავი ცოლთან ურთიერთობაშიც. ნიშნობის პერიოდში ფროიდი იყო მოალერსე, თუმცა ფეთქებადი და ეჭვიანი შეყვარებული. იყო მომენტები, როცა მისი საცოლე ახსენებდა ბიძაშვილ მაქსს, ფროიდი კი იმწუთასვე იწყებდა ეჭვიანობას. ხშირ შემთხვევაში ის კარგავდა საღ აზროვნებას - აბსურდამდეც კი. მას ჰქონდა პრაქტიკული ხასიათის უცნაური შეხედულებები. მაგალითად, ის თავის მეგობარ მილს არ ეთანხმებოდა, რომ ქალი თანასწორია მამაკაცის და შეუძლია იშრომოს, როგორც მამაკაცმა. ფროიდს მიაჩნდა, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა პრაქტიკულად შეუძლებელია. უთანასწორობა უნდა არსებობდეს, ხოლო მამაკაცის უზენაესობა ნაკლები ბოროტებაა ორს შორის. ქალის მთავარი ფუნქციაა დედობა, ქმრის უსიტყვო ერთგულება და მასზე ზრუნვა.

ფროიდს არ ჰქონია განსაკუთრებული ვნება, ეროტიკული სიყვარული მეუღლის მიმართ. მისი სამეცნიერო-ინტელექტუალური ინტერესები ეროსზე უფრო ძლიერი იყო. სიყვარული მან აქცია მეცნიერების საგნად, რამაც ჩაახშო, მშრალი და სტერილური გახადა ეს გრძნობა მის საკუთარ ცხოვრებაში. საერთოდაც, ფროიდს ნაკლებად აინტერესებდა ქალები. უკვე 40 წელს გადაცილებულს უკვირდა, რომ განიცადა ფიზიკური ლტოლვა ახალგაზრდა ქალის მიმართ, ხოლო 55 წლის ასაკში აღიარებდა, რომ მისმა ლიბიდომ დიდი ხანია

დასასრული გვ.9

დასაწყისი 8-გვ.

დატოვა სექსუალური მიზნები.

ასეთი იყო ყველაზე „სექსუალური“ თეორიის ავტორის პირადი სექსუალური ცხოვრება. ერიხ ფრომს მიაჩნდა, რომ ფროიდის თეორიული მოსაზრებები, მისი შეხედულებები სექსზე იყო თავისი შეკავებული, შეფერხებული სექსუალობის რაციონალიზაციის შედეგი.

ფროიდს, მისივე აღიარებით, ახასიათებდა დაუცველობის ერთგვარი გრძნობა. მას მუდამ სდევდა სიღარიბით, შიმშილით დაღუპვის შიში. დაუცველობის გრძნობის ყველაზე ნათელი გამოხატულება იყო მატარებლით გამგზავრების წინა შფოთიანობა. იგი სადგურში მიდიოდა მატარებლის გასვლამდე ერთი საათით ადრე, რომ აქაოდა უცებ არ დამაგვიანდესო.

ფროიდს ახასიათებდა თავისებური მეგობრობა. ყველაზე შესამჩნევი მეგობრული კავშირები ემყარებოდა მხოლოდ მას და მისსავე ცხოვრების რიტმს - წლების მანძილზე ინტენსიური მეგობრობა, ხოლო შემდეგ გაყრა, სიძულვილამდეც კი. ასეთი იყო მისი მეგობრული ურთიერთობების ბედი ბრეიერთან, იუნგთან, ადლერთან და სხვებთან.

მაგალითად, ბრეიერმა მიაწოდა ფროიდს იმ იდეის ჩანასახი, რომლისგანაც განვითარდა ფსიქოანალიზი.ბრეიერი ფროიდისათვის იყო უფროსი მეგობარი, რომელიც მამობრივ მზრუნველობას იჩენდა მის მიმართ (არც თუ უმნიშვნელო მატერიალური დახმარების სახითაც). მაგრამ რით დამთავრდა მათი მეგობრობა? როგორც კი თავი იჩინა მათ შორის აზრთა სხვადასხვაობამ და ბრეიერმა არ გაიზიარა ფროიდის ზოგიერთი შეხედულება, ეს მეგობრობა შეწყდა. ჩვეულებრივ, თეორიულ უთანხმოებებს არ მივყავართ პირადი კავშირების გაწყვეტამდე, არაფერი რომ ვთქვათ იმ სიძულვილზე, რომელსაც ფროიდი განიცდიდა თავისი ყოფილი მეგობრის მიმართ. მაგრამ ფროიდის შემთხვევში ეს სწორედ ასე მოხდა.

ფროიდს არასოდეს უყვარდა კრიტიკა. უფრო მეტიც, ვერ იტანდა კრიტიკას, მით უმეტეს, თუ ეს კრიტიკა მეგობრისაგან მოდიოდა. ამის გამო ანალოგიური სიძულვილით დამთავრდა მისი ურთიერთობა იუნგთანაც.

ზოგიერთი ავტორი ამ ვითარებას ხსნის ფროიდის დამოუკიდებლობისაკენ მძაფრი მისწრაფებით. სხვისგან დახმარებისა და თანადგომის მიღების შემდეგ, წყვეტდა რა ფროიდი ამ პიროვნებასთან ყოველგვარ ურთიერთობას, ამით იგი უარყოფდა მასზე დამოკიდებულებას. ან კიდევ, ორთოდოქსალური ფსიქოანალიზური კონსტრუქციების უკმარისობის პირობებში ფროიდი განიცდიდა სხვებზე დამოკიდებულებასაც (დამოკიდებულება ხომ ფროიდის ხასიათის დისპოზიციური ნიშანი იყო), რასაც ვერ ეგუებოდა მისი ამაყი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და ამ შინაგან კონფლიქტს იგი ხსნიდა ზემოაღნიშნული ხერხით - ურთიერთობის გაწყვეტით, ზურგის შექცევით, მტრობამდე მისული სიძულვილით.

ფროიდის დამოკიდებულება მამისადმი არ იყო ისეთი, როგორც დედისადმი. დედა მას ანებივრებდა. მამა კი იყო მკაცრი, დაუნდობელი. ფროიდი ბავშვობიდან მიეჩვია იმ აზრს რომ, მისთვის მიუღებელი იყო კრიტიკა. იგი იყო საკუთარ თავში მთლიანად დარწმუნებული. მამა კი მასზე ამბობდა: ამ ბავშვიდან არაფერი გამოვაო. შემდგომში, მამის ამ გამონათქვამის კომენტარისას, ფროიდი წერდა: ეს სიტყვები იყო ჩემდამი, ჩემი ამბიციებისადმი დარტყმა და, როგორც ხედავთ, ჩემგან რაღაც გამოვიდა.

როგორც ვთქვით, ფროიდი ითვლებოდა დედის საყვარელ შვილად. მამა მისთვის იყო მეტოქე. იგი ოცნებობდა გამხდარიყო მამა, გამხდარიყო გმირი. როდესაც ოჯახს მოეკიდა და შვილები შეეძინა, ფროიდიც გახდა მამა, ოღონდ ძალიან მოსიყვარულე მამა.

ბავშვობაში ფროიდი აღფრთოვანებული იყო დიდი სამხედრო ბელადებით. ჰანიბალი და ნაპოლეონი იყვნენ მის უპირველესი გმირები. ფროიდი ხედავდა საკუთარ თავს ბელადად ინტელექტუალურ რევოლუციაში. სწორედ მის მიერ შეიქმნა ფსიქოანალიზური მოძღვრება და ფსიქოანალიტიკური მოძრაობა. ახასიათებდა რა ამ მოძღვრებას, ფროიდი წერდა: ფსიქოანალიზი, ჩემი აზრით, არის მსოფლმხედველობა. ფსიქოანალიზი არის მეცნიერების ნაწილი. ფსიქოანალიზი არის კვლევის მეთოდი და ინსტრუმენტი.

ღმერთისადმი რწმენაში ფროიდი ხდავდა მამა მფარველს, ჰქონდა მუდმივი სურვილი მიეღო მისგან დახმარება, ყოფილიყო დაცული. როგორც ვხედავთ, აქაც ავლენდა ფროიდი დაუცველობის მისეულ გრძნობას.

ფროიდი იყო კეთილი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, მაგრამ მაინც მარტოსული ადამიანი. ის არ იყო ბედნიერი კაცი. ფროიდს თვლიდენ მძიმე პიროვნებად, თუმცა მისი ბუნებრივი ნიჭი, უძლიერესი რეფორმატორული გონება, პატიოსნება და მამაცობა, იწვევდა მის მიმართ არამარტო პატივისცემას და აღფრთოვანებას, არამედ სიყვარულსა და თანაგრძნობასაც.

„განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლა"

29 აგვისტოს გაიხსნა და ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლა“. სწავლება რსუ-ში განათლების მართვის პროექტის

(USAID) მხარდაჭერით მიმდინარეობს და მიზნად ისახავს განათლების ადმინისტრირების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობას, განათლების ადმინისტრირების ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და ერთობლივი დიპლომების გაცემას. საზაფხულო სკოლის ფარგლებში პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს. „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლის„ კურსებს ილიას უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად წარმართავენ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორები. სწავლების მეთოდოლოგიებსა და აკადემიური კურსების დიზაინში შოთა რუსთველის უნივერსიტეტის პროფესორებს სპეციალურ სემინარს ჩაუტარებს კალიფორნიის ლოს–ანჟელესის უნივერსიტეტის განათლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის პროფესორი ბარბარა ნაითი. ერთობლივმა საზაფხულო სკოლამ განათლების ადმინისტრირების საკითხებში საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. კურსები დაიგეგმა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. 114 მონაწილე შემდეგ ძირითად სასწავლო კურსებს გაივლის: 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ინსტრუქტორი – ასისტენტ პროფესორი სიმონ ჯანაშია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორი – ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2. სწავლების მეთოდები ინსტრუქტორი - ასისტენტ პროფესორი სიმონ ჯანაშია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორები – სრული პროფესორი ლელა თავდგირიძე და ასისტენტენტ პროფესორი ნანი მამულაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 3. ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში ინსტრუქტორი - ასისტენტ პროფესორი მაია ბიწაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორი – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მადონა მიქელაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 4. ორგანიზაციული ლიდერობა ინსტრუქტორი – ასისტენტ პროფესორი მაია ბიწაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორი – რამინ ცინარიძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 5. განათლება მრავალფეროვან საზოგადოებაში ინსტრუქტორი - ასისტენტ პროფესორი გიორგი გახელაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორი – ასისტენტ პროფესორი ნატო შეროზია, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 6. პრაქტიკული კვლევა განათლებაში ინსტრუქტორი - ასისტენტ პროფესორი ნათია ანდღულაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორები – სრული პროფესორი ლელა თავდგირიძე და სრული პროფესორი ვლადიმერ ღლონტი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 7. განათლების პოლიტიკა ინსტრუქტორი - ასისტენტ პროფესორი თამარ ბრეგვაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თანაინსტრუქტორები – ასოცირებული პროფესორი ნანა მაკარაძე და ასისტენტენტ პროფესორი ნანი მამულაძე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 8. სასწავლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება ინსტრუქტორი - ბარბარა ნაითი, ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის განათლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის პროფესორი, განათლების მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის ექსპერტი; თანაინსტრუქტორი – სრული პროფესორი ვლადიმერ ღლონტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს დაურიგდებათ სერტიფიკატები. „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლის“ მონაწილეები: მონაწილეობას ღებულობს საქართველოს შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელები: 1. შპს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (რექტორი); 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ზოოლოგიის ინსტიტუტი (კვლევითი ჯგუფის უფროსი); 3. თბილისის 161-ე საჯარო სკოლა (6 მასწავლებელი); 4. ი. გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი); 5. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორის მოადგილე, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პედაგოგიკის დეპარტამენტის კოორდინატორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 1 უფროსი მასწავლებელი, 2 მოწვეული სპეციალისტი); 6. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი„ (გენერალური დირექტორი, დამფუძნებელი); 7. ქუთაისის მე-5 საჯარო სკოლა (მასწავლებელი); 8. ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლა (მასწავლებელი); 9. ზესტაფონის მშობელთა და ბავშვთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრი „ორიონი„, ზესტაფონის მე-5 საჯარო სკოლა (თავმჯდომარე, კოორდინატორის თანაშემწე და მენეჯერი); „განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლაში„ მონაწილეობას ღებულობენ, აგრეთვე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, უფროსი მასწავლებლები და მოწვეული სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები (დეკანის მოადგილეები, ხარისხის სამსახურის უფროსები, დეპარტენატების ხელმძღვანელები), ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები, დირექტორის მოადგილეები, მასწავლებლები, ბათუმის ააიპ საბავშვო ბაღების წარმომადგენლები (გაერთიანების დირექტორი, ფსიქოლოგი).

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო
მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti@mail.ru

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 02

ქ. ბათუმი 22 ივლისი, 2011 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №2 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 22 ივლისის №01-11/55 ბრძანების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

შეტანილი იქნეს დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში“ . **კერძოდ კი,**

ა) წესის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„5. 2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში რსუ–ში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ პირებს, მობილობის წესით აღდგენის შემთხვევაში (ფინანსური ვალდებულების შესრულებისას) არ დაერიცხებათ დამატებით, 2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების საფასური“.

ბ) მე–8 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე–6 და მე–7 პუნქტები:

„6. 2010–2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო რსუ–ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის აღდგენისას სტუდენტს, თავისი ნების შესაბამისად (რაც დადასტურდება მის მიერ წარმოდგენილი განცხადებით), უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე, იმავე სემესტრში მიღებული შეფასებები და იგი დამატებითი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასვლის გარეშე უფლებამოსილია ისარგებლოს რსუ–ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია, რა შემთხვევაშიც მხედველობაში არ მიიღება სტატუსის შეჩერებამდე (წინა სემესტრში) ასათვისებელ (დავალიანებულ) საგნებში მიღებული შეფასებები.

7. ამ მუხლის მე–4–6 პუნქტებით დადგენილი უფლებებით რსუ–ს სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს 2011–2012 და 2012–2013 სასწავლო წლებში, ხოლო იმ სტუდენტს, რომელსაც 2012–2013 სასწავლო წლამდე ამოეწურება საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა, დამატებით მიეცემა მხოლოდ ერთი სასწავლო სემესტრი **2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების ათვისებისათვის.**

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების დეკანატებთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52)

წარმომაგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი \კ ქაშიბაძე\

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/291
ქ. ბათუმი **17 აგვისტო 2011 წ.**

2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო, რსუ–ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირთა მიმართ გარკვეული შეღავათის განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 მუხლის, რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივლისის №02 გადაწყვეტილება „სსიპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე'', საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 05 ივლისის №2143 მოხსენებითი ბარათის, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 30 ივნისის №2106 მოხსენებითი ბარათისა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 04 ივლისის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2010-2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო, რსუ–ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებზე (დანართი 1) სტუდენტის სტატუსში აღდგენის შემდეგ, რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივლისის №02 გადაწყვეტილების (სსიპ – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე) მოთხოვნები გავრცელდეს.

2. ბრძანების განხორციელებაზე კონტროლი დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

3. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს რსუ-ს ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას არსებულ საინფორმაციო დაფებზე, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის მდივნებს, ასევე განთავსდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;

4. ბრძანების რსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსების უზრუნვეყოფა დაევალოს საინფორმაციო-ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს, ხოლო გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნება - გაზეთის რედაქტორს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში;

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე

რექტორი, პროფესორი ა.ბაკურიძე

დანართი 1

საინჟინრო–ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები

№	სახელი	გვარი	სპეციალობა, კურსი, სწავლების საფეხური
1.	მამუკა	შარაშიძე	სამოქალაქო მშენებლობა, მე–3 კურსი–პროფესიული
2.	თეა	ბოლქვაძე	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია, მე–3 კურსი–პროფესიული
3.	რუსუდან	ტაკიძე	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია, მე–3 კურსი–პროფესიული
4.	ირაკლი	ბერაია	ელექტროენერგეტიკა, მე–3 კურსი–პროფესიული
5.	არმაზ	ხოზრევანიძე	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
6.	გელა	ხარაძე	სამოქალაქო მშენებლობა, პირველი კურსი–პროფესიული
7.	გელა	ცეცხლაძე	სამოქალაქო მშენებლობა, მე–2 კურსი–პროფესიული
8.	გენადი	აბაშიძე	სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა,მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
9.	ტარიელ	ზოიძე	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია, მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
10.	გიორგი	კაჭარავა	გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა, მე–3 კურსი–ბაკალავრიატი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები

№	სახელი	გვარი	სპეციალობა, კურსი, სწავლების საფეხური
1.	თამთა	ქათამაძე	სამართალმცოდნეობა, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
2.	სალომე	ხანთაძე	სამართალმცოდნეობა, მეორე კურსი–ბაკალავრიატი
3.	ემზარ	გორგაძე	სამართალმცოდნეობა, მე–3 კურსი –ბაკალავრიატი
4.	ლია	გოგრაჭაძე	სამართალმცოდნეობა, მე–3 კურსი–ბაკალავრიატი

5.	მარიამ	ცინცქილაძე	სამართალმცოდნეობა, მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
6.	ივლიტა	მაკარაძე	სამართალმცოდნეობა, მე–4 კურსი–ბაკალავრიატი
7.	ირმა	დევაძე	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მე–3 კურსი– ბაკალავრიატი
8.	თამარ	გოგიძე	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
9.	ქეთევან	შერვაშიძე	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
10.	დავით	ჭანტურია	ფსიქოლოგია, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
11.	ინგა	თხილაიშვილი	ფსიქოლოგია, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
12.	ბექა	ცეცხლაძე	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მე–2 კურსი– ბაკალავრიატი
13.	თემურ	ჯაფარიძე	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მე–2 კურსი– ბაკალავრიატი
14.	თამუნა	გოგმაჩაძე	საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე, მე–3 კურსი– ბაკალავრიატი
15.	ნათია	ლორია	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
16.	მიხეილ	მჭედლიშვილი	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
17.	თამთა	ჩახვაძე	ფინანსები და საბანკო საქმე, მე–2 კურსი–მაგისტრატურა
18.	ედნარ	ხოზრევანიძე	ფინანსები და საბანკო საქმე, მე–2 კურსი–მაგისტრატურა
19.	პაატა	მოსიაშვილი	კერძო სამართალი, პირველი კურსი–მაგისტრატურა
20.	მირზა	ნოღაიდელი	ბიზნეს კომუნიკაციების მენეჯმენტი, პირველი კურსი–მაგისტრატურა
21.	მამუკა	ბოლქვაძე	მარკეტინგი–მაგისტრატურა
22.	თენგიზ	ქათამაძე	მარკეტინგი–მაგისტრატურა
23.	მადონა	ხიმშიაშვილი	მარკეტინგი–მაგისტრატურა
24.	დავით	როინიშვილი	ბიზნესის ადმინისტრირება–მაგისტრატურა

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები

№	სახელი	გვარი	სპეციალობა, კურსი, სწავლების საფეხური
1.	დალი	ბერიძე	დაწყებითი განათლების მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
2.	სოფიკო	დავითაძე	დაწყებითი განათლების მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
3.	მელანო	დიასამიძე	დაწყებითი განათლების მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
4.	ნინო	კაციტაძე	დაწყებითი განათლების მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
5.	ნათია	არძენაძე	დაწყებითი განათლების მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
6.	მადონა	ივანაძე	მათემატიკა, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
7.	დავით	კიზირია	მათემატიკა, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
8.	ირაკლი	ტუღუში	მათემატიკა, პირველი კურსი–ბაკალავრიატი
9.	სალომე	კოჩაძე	მათემატიკა, მეორე კურსი–ბაკალავრიატი
10.	ჯაბა	აბულაძე	მათემატიკა, მეოთხე კურსი–ბაკალავრიატი
11.	ზაურ	ბოლქვაძე	კომპიუტერული ტექნოლოგიები, პირველი კურსი–პროფესიული
12.	ზაზა	ცისკარაძე	კომპიუტერული ტექნოლოგიები, მე–3 კურსი–პროფესიული
13	ზაზა	გაბაიძე	კომპიუტერული ტექნოლოგიები, მე–4 კურსი
14.	ცეზარ	ბერიძე	ინფორმაციული ტექნოლოგიები, მე–3 კურსი–პროფესიული
15.	თემურ	მიქაია	ინფორმაციული ტექნოლოგიები, მე–3 კურსი–პროფესიული
16.	მარიეტა	აბაშიძე	ქიმია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
17.	ზურაბ	ლელაძე	ფიზიკური გეოგრაფია მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
18.	მუხრან	გვიანიძე	ფიზიკური გეოგრაფია მე–3 კურსი–ბაკალავრიატი
19.	ლია	აბესლამიძე	ფიზიკური გეოგრაფია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
20.	ქეთინო	მიქავა	ფიზიკური გეოგრაფია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
21.	თეონა	გორგაძე	ფიზიკური გეოგრაფია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
22.	ინდირა	ვარშანიძე	ბიოლოგია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
23.	მზიური	ჯინჭარაძე	ეკოლოგია მე–2 კურსი–ბაკალავრიატი
24.	ლიზა	ფუტკარაძე	საფაკულტეტო პირველი კურსი (ჰუმანიტარული მიმართულება)
25.	მარიამ	ბარამიძე	ქართული ენა და ლიტერატურა, მე–2 კურსი
26.	თეონა	კოჩალიძე	ქართული ენა და ლიტერატურა, მე–3 კურსი
27.	ნანა	ქავჯარაძე	ქართული ენა და ლიტერატურა, მე–3 კურსი
28.	სალომე	შოთაძე	ქართული ენა და ლიტერატურა, მე–3 კურსი
29.	მაია	ვერძაძე	ინგლისური ენა და ლიტერატურა, პირველი კურსი
30.	თამილა	გვიანიძე	ინგლისური ენა და ლიტერატურა,მე–3 კურსი
31.	მარინე	ცინცაძე	ინგლისური ენა და ლიტერატურა,მე–3 კურსი
32.	ეკატერინე	გოგუაძე	ინგლისური ფილოლოგია, პირველი კურსი–მაგისტრატურა
33.	დავით	ინაიშვილი	ინგლისური ენა/მთარგმნელ–რეფერენტი, მე–3 კურსი
34.	ნინო	ქათამაძე	საფაკულტეტო, პირველი კურსი
35.	თამთა	ქარცივაძე	საფაკულტეტო, პირველი კურსი
36.	ნიკა	კვარაცხელია	აღმოსავლეთმცოდნეობა, მე–3 კურსი
37.	თეა	კილაძე	საექთნო საქმე, პირველი კურსი
38.	ირინა	ცეცხლაძე	საექთნო საქმე, მე–2 კურსი
39.	ინდირა	დუმბაძე	საექთნო საქმე, მე–3 კურსი
40.	ანა	ხარებავა	საექთნო საქმე, მე–3 კურსი
41.	ბეჟანი	ნადირაძე	ფარმაცია, პირველი კურსი
42.	თამარ	ბალაძე	ფარმაცია, მე–2 კურსი
43.	თამრიკო	გორგაძე	ფარმაცია, მე–2 კურსი
44.	ნატალია	ხარშილაძე	სამკურნალო საქმე, მე–2 კურსი
45.	რომან	ლომიძე	სამკურნალო საქმე, მე–4 კურსი
46.	ქრისტინე	როდინაძე	სტომატოლოგია, მე–2 კურსი
47.	გურანდა	დიასამიძე	სტომატოლოგია, მე–4 კურსი

ცოდნის ეკონომიკა და მართვა

ცოდნის მნიშვნელობასა და ადამიანის ცხოვრებაში მის როლზე შეხედულებები უხსოვარი დროიდან გროვდება და ვრცელდება. ამჟამად, როცა ინფორმაციამ, განსაკუთრებით მეცნიერულმა, ინოვაციურმა ცოდნამ გადამწყვეტი ადგილი დაიკავა ცხოვრების ყველა სფეროში, სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს ცოდნის სხვადასხვა ასპექტი – საერთოსოციოლოგიური, ეკონომიკური, ინფორმაციული, სემანტიკური და ა.შ. ეკონომიკური ასპექტით ცოდნის შესწავლისადმი ყურადღება ბოლო პერიოდში ერთობ გაძლიერდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. უსაფუძვლოდ როდი უწოდებენ თანამედროვე ეკონომიკას ცოდნაზე დამყარებულს. მართალია, ცოდნა ყოველთვის იყო ადამიანის ყოველგვარი და მათ შორის ეკონომიკური საქმიანობის საფუძველი, მაგრამ ცოდნის როლი სხვა ეკონომიკურ ფაქტორებს შორის ამჟამად წინა პლანზეა წამოწეული. ცოდნის ეკონომიკა მაშინ გამოჩნდა არენაზე, როცა მისი, განსაკუთრებით კრეატიული ცოდნის წარმოების, გადაცემის (გავრცელების), გამოყენებისა და შედეგიანობის საკითხი მთელი საზოგადოებისათვის საქმიანობის ყველა სფეროში პროგრესის გადამწყვეტ პირობად იქცა.

ცოდნის ეკონომიკა არ ემთხვევა განათლების ეკონომიკას, რომელიც მის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. იგი უფრო ფართოა და მიზნად ისახავს ღრმა ცოდნის შემუშავებას თვით

ცოდნის, მისი ბუნების, თავისებურებების, წარმოქმნის, გამოყენების პროცესის შინაარსის, განსაკუთრებულობის შესახებ და სხვ.

მსჯელობები ადამიანთა ცხოვრებაში ცოდნის როლზე ქართულ აზროვნებაში დიდი ხანია გვხვდება. თავი რომ დავანებოთ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, სადაც უვიცობის ზიანი და ცოდნის სიკეთე მკაფიოდაა წარმოჩენილი, რად ღირს დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა„, ი.

ჭავჭავაძის ბრძნული გამონათქვამები ცოდნის შესახებ, სადაც ფილოსოფიურადაა გააზრებული ცოდნის ბუნება და მნიშვნელობა. ცოდნის ცალკეული ასპექტები განხილულია ქართველ ეკონომისტთა, ფილოსოფოსთა, ინფორმატიკოსთა მიერაც. მაგრამ ეს აქამდე უმთავრესად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. თანამედროვე მოთხოვნები ცოდნის შეხახებ უდავოდ დიდია. ცოდნის ეკონომიკურ პრობლემებზე შესაბამისი კომპლექსური ნაშრომი მშობლიურ ენაზე დღემდე არ გვქონია. წინამდებარე წიგნი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეშიამ ხარვეზის შევსების პირველი მცდელობაა.

საერთოდ, წიგნის საზოგადოებრივი ღირებულების ერთერთი ნიშანი ისაა, თუ რამდენად ახალ ცოდნას შეიცავს და ახლებურად აწვდის მას მკითხველს, შემეცნების ახალ სამყაროში შეჰყავს თუ არა იგი. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი ამ წიგნის გაცნობის შემდეგ გაიზიარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ამ მხრივ, იგი უთუოდ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს.

ავტორების მიერ ცოდნის ფენომენი ყველა ძირითადი სოციოლოგიურ – ეკონომიკური ასპექტით ახლებური ხედვითაა წარმოდგენილი როგორც კაცობრიობის არსებობისა და პროგრესის საფუძველი. ავტორთა დიდი რუდუნებით, პასუხისმგებლობით, საკითხებში ღრმა გარკვეულობითაა დაწერილი წიგნის ყველა თავი და პარაგრაფი, რომლებშიც ასახულია თანამედროვე საზოგადოების, მისი წევრების, ადამიანთა ჯგუფების ცხოვრებაში ცოდნის წარმოების, გამოყენების ეკონომიკური, ტექნოლოგიური თუ სოციოლოგიური ასპექტები. ავტორებმა შეძლეს ეჩვენებინათ ცოდნის წარმოებისა და გამოყენების პროცესის, როგორც მართვის ობიექტების, თავისებურება და თანამედროვე ტექნოლოგიები.

წიგნში კარგადაა ნაჩვენები, რომ ცოდნა არა მხოლოდ მატერიალური და არამატერიალური დოვლათის შექმნისა და გადიდების ერთერთი მთავარი წყაროა, არამედ ადამიანის არსისა და ცხოვრების წესის განუყრელი კომპონენტია.

ამ წიგნის მთავარი მიზანი – აჩვენოს ცოდნის წარმოებისა და გამოყენების პროცესი, არაა მარტივი. იგი მდგომარეობს იმაში, რომ გადმოსცეს ამ პროცესის მართვის ეკონომიკური საფუძვლები თანამედროვე მეცნიერების მიღწევების დონეზე. ჩვენი ქვეყნისათვის, ქართველი მკითხველისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ცოდნის წარმოება და გამოყენების ეფექტიანობა განსაზღვრავს ქვეყნის პროგრესს, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. სწორედ ის ქვეყნები და ხალხები აღწევენ წარმატებას ცხოვრების გაუმჯობესების რთულ ასპარეზზე, რომლებიც ახერხებენ ცოდნის წარმოებაში უპასუხონ დროის გამოწვევას. საკმარისი არაა ცალკეული ადამიანები ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ ამაზე, მთელი საზოგადოების ცნობიერება უნდა იყოს მიმართული აქეთკენ, რათა რეალური წარმატებები იქნეს მოპოვებული ამ გადამწყვეტ სფეროში. ჩვენს სინამდვილეში ამ მხრივ არსებული მრავალი ხარვეზის გამოსასწორებლად საჭიროა სწორედ ცოდნის ეკონომიკისა და მართვის ღრმა ცოდნა და სპეციალისტთა შესაბამისი კვალიფიკაცია. ამ მიზანს კარგად პასუხობს სრული პროფესორის, გურამ ჯოლიასა და აკადემიური დოქტორის, დალი სეხნიაშვილის ერთობლივი სახელმძღვანელო, რომელიც ამჯერად პირველად გამოდის მკითხველთა სამსჯავროზე.

წიგნი გამოირჩევა ლაკონურობით, საკითხების ნათლად და სრულად გადმოცემით. იგი მეტად სასარგებლო იქნება არა მხოლოდ სტუდენტი ახალგაზრდებისათვის – მომავალი სპეციალისტებისათვის, არამედ ცოდნის წარმოებისა და გამოყენების სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის, ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის, ვისაც კავშირი აქვს ცოდნის უკიდეგანო და მომხიბვლელ სამყაროსთან.

გიორგი მალაშხია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

გურამ ჯოლია,
დალი სეხნიაშვილი

ცოდნის ეკონომიკა და მართვა

წინამდებარე სახელმძღვანელო ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში – ცოდნის ეკონომიკა – განხილულია ცოდნის არსი, სახეები, კლასიფიკაცია და წყაროები, საზოგადოების განვითარების კონცეფციები, ცოდნის ეკონომიკის განვითარების პირობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტელექტუალურ კაპიტალს, მის არსს, სტრუქტურასა და შემადგენელი ნაწილების ურთიერთზემოქმედებას, ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც ინვესტირების ობიექტისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორის, შეფასებას.

მეორე ნაწილი მოიცავს ცოდნის მართვის თეორიულ საფუძვლებს, კერძოდ, ცოდნის შეძენის, გენერაციის, სრულყოფისა და ტრანსფერის საკითხებს, ასევე ცოდნის მართვის ტექნოლოგიებს და სხვ.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალობების ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის. იგი დიდად დაეხმარება ცოდნის ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2010
ISBN 978-9941-14-853-8

ევგენი ბარათაშვილი,
ლარისა თაკალანძე
ნოდარ გრძელიშვილი

ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება

სახელმძღვანელოში „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება" წარმოდგენილია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თანამედროვე აქტუალური საკითხები. წიგნში კონკურენტუნარიანობა განხილულია, როგორც ბიზნესის თეორიისა და პრაქტიკის საგანი და ასევე ინდუსტრიული მნიშვნელობის ობიექტი.

წიგნი საფუძვლიანად, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების დონეზე, მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელო და მეცნიერული ლიტერატურის გამოყენებით აცნობს მკითხველს კონკურენტუნარიანობის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, კერძოდ, კონკურენტუნარიანობას როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, მის ადგილს ფირმის საქმიანობასა და წარმატებებში, ფაქტორებს, უზრუნველყოფის გზებსა და მეთოდებს. Kკონკურენტუნარიანობის ასპექტით სავსებით მართებულად და საფუძვლიანადაა განხილული თანამედროვე ეტაპზე ფირმის საქმიანობის ყველა მხარე – მაღალი ტექნოლოგიების, ორგანიზაციის მეთოდების, თანამედროვე მენეჯმენტის გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინოვაციებს, მათ რესურსსა და მნიშვნელობას ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, ადმინისტრირების სრულყოფისათვის. გაკეთებულია რა აქცენტი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე, ნათლადაა ნაჩვენები ფირმის საქმიანობის ყველა მიმართულების ფოკუსირება სწორედ ამ მახასიათებლის ირგვლივ.

წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი ფირმის წარმატების საქმეში კონკურენტული სტრატეგიების, ინოვაციური მენეჯმენტის როლი, მათი შემუშავებისა და რეალიზაციის საკითხები. ყურადღება მიპყრობილია ფინანსური უზრუნველყოფისადმი კერძოდ, ინვესტიციების წყაროების ფორმირებისადმი, კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიისადმი.

საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა მცირე ქვეყანაში კლასტერული მენეჯმენტის, რეგიონული ინტეგრაციის, ეფექტიანი საერთაშორისო კავშირების პრობლემებს გაშუქებას, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს სინამდვილისათვის.

სხვადასხვა ასპექტითაა გადმოცემული ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი ინსტრუმენტები, ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ურთიერთკავშირი, ადმინისტრირების ფუნქციები და საფუძვლები, მექანიზმის ფორმირება, სტრუქტურირებული და პროცედურული უზრუნველყოფა, პოზიციონირება, ორგანიზაციის ადმინისტრირების მოდერნიზაციისა და განვითარების პრობლემები და პერსპექტივები.

ქართველ მკითხველს – სტუდენტ ახალგაზრდობასა და სხვა დაინტერესებულ პირებს – წიგნი სრულ წარმოდგენას შეუქმნის საბაზრო ეკონომიკის ისეთ ძირეულ პრობლემებზე, როგორიცაა: ბიზნესის კონკურენტუნარიანობა, მისი უზრუნველყოფა, ადმინისტრირება და სრულყოფა.

წინამდებარე წიგნში ქართულ სინამდვილეში პირველადაა ასე სრულად და ვრცლად წარმოდგენილი ფირმის კონკურენტუნარიანობის ასპექტები საშინაო და საერთაშორისო კუთხით. განხილული საკითხები წიგნში ნათლად, ლოგიკური თანმიმდევრობით, კვლევის თანამედროვე მეთოდების, მოდელების, გრაფიკების, ცხრილების, სქემების გამოყენებითაა გადმოცემული. მოხმობილია ფაქტობრივი საილუსტრაციო მასალები სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკიდან, რომლებიც ეხმარება მკითხველს შესასწავლი მასალის აღქმასა და გაცნობიერებაში.

სახელმძღვანელო მომზადებულია უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად და გამიზნულია მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, უმაღლესი სკოლის პედაგოგებისათვის და მეცნიერ-მკვლევარებისათვის, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრისათვის.

ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი,
რსუ-ს ასისტენტ პროფესორი

© თბილისი, 2010. 393გვ
ISBN 978-9941-0-2889-2

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „პრეპრინტში"
(532) 293-46-14, 299-98-82
მის: ქ.თბილისი
რუსთაველის 40-40ა